პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი.

№ 7 (12215) | სამშაბათი, 9 იანვარი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

ამ ახალგაზრდა მუშებმა ერთსა და იმავე წელს დაამთავრეს საშუალო სკოლა და დაიწყეს მუშაობა ერთ, ავრეთვე ახალგაზრდა საწარმოში — ქარხანა „თბილელექტროზოლატში". სპეციალობასაც ერთს დაეუფლნენ — მწებავის სპეციალობას.

სპეციალობის ხიბრთულისა და სიძნელის მიუხედავად, ახლინი ახლა მოწინავენი არიან წარმოებაში.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) — კომკავშირელები ტ. ტარასოვა, მ. მიქაბერიძე, მ. მჭედლიშვილი, ნ. გვარამაძე, ლ. სარიევი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

თვალისჩინივით მოვუაროთ მანქანებს!

სოციალისტური სოფელი ყოველწლიურად ახალ-ახალ ტრაქტორებსა და სხვა სახოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებს ღებულობს. მანქანები სულ უფრო დიდ როლს ასრულებენ ჩვენი სოფლის მეურნეობის ყოველდღიურ ცხოვრებაში. მანქანები შრომას უმსუბუქებენ ადამიანს, ზრდიან სოფლის მეურნეობის კულტურას, მოსავლიანობას.

ახლა ყველასათვის ნათელია, რომ ტექნიკა, როცა მას გონივრულად ვიყენებთ, სასწაულებს ახდენს. ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მექანიზატორები ა. გიტალოვი, ნ. მანუკოვსკი, ვ. სვეტლიჩნი, აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის ცნობილი მექანიზატორები გ. დოლიძე, ი. ბაიდოშვილი, გ. სიხარულიძე და ბევრი სხვა მანქანების სათანადოდ გამოყენებით ყოველწლიურად ზრდიან მოსავლიანობას, ამცირებენ წენტნერი პროდუქციის თვითღირებულებას. მაგალითად, ცნობილია, რომ ვ. სვეტლიჩნის რგოლი ცენტნერ შაქრის ბარხალს აწარმოებს 17 წუთში, თერთმეტჯერ ნაკლებ დროს ხარჯავს, ვიდრე ხაშუალოდ ჩვენი ქვეყნის საბჭოთა მეურნეობებში.

ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო მიწდგრებში ამჟამად ზამთრის სამუშაოებია. ზოცლა არა აქვს მექანიზატორებს. მიმდინარეობს სახოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტი. წითელწყაროელი მექანიზატორი გიორგი დოლიძე თავის დროზე შეუდგა რემონტს. მოსავლის აღების შემდეგ მინდვრის ხომალდების — კომბაინების პირველი რიგის პროფილაქტიკა განახორციელა და ისინი კოლმეურნეობის სარემონტო სახელოსნოს ფარდულებში შეაფარა, ხოლო როცა მინდვრის ხაშემოდგომო სამუშაოები დამთავრდა, ტრაქტორების რემონტი დაიწყო. მოწინავე მექანიზატორმა კარგად იცის მანქანების ფასი, თვალისჩინივით უფრთხილდება მათ. ახლა 25 ტრაქტორიდან მეტი წილი უკვე შეკეთებული აქვს.

წითელწყაროელ თანამოსაქმეს როდი ჩამორჩებიან სიღნაღელი მექანიზატორი, პარტიის XXII ყრილობის დელეგატი ი. ბაიდოშვილი და ქარელელი გ. სიხარულიძე. ისინი სულ მალე დაამთავრებენ სახოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტს და მომზადებული შეხვდებიან გაზაფხულს.

ნათქვამია, ვინც ზამთარში იზარმაცა, მთელ წელიწადს მშიერი დარჩაო. სოფლის მექანიზატორებმა ზამთრის ყოველი დღე უნდა გამოიყენონ, რომ მინდვრის ხაგაზაფხულო სამუშაოების დაწყებას მოამზადებული შეხვდნენ. ვინც მანქანებს კარგად არ გაამზადებს, მას გაზაფხულსა და ზაფხულში სამუშაოები ჩაეშლება. ვინც ზამთარში იარაღ-მანქანების რემონტს დროულად ჩაატარებს, ის მინდვრის სამუშაოებს აგროვადებში დაამთავრებს.

მექანიზატორებო, ახა შეიბედეთ თქვენს სახელოსნოებში, იფიქრეთ, მინდვრად ხომ არ დაგრჩათ შესაკეთებელი ტრაქტორები, სხვა სახოფლო-სამეურნეო იარაღები. უნდა იცოდეთ, რომ მათ მზეწვიმაზე უნდა შეჰკამ. დღეს თუ ტექნიკის შეკეთება იაფი დაჯდება, ერთი თვის შემდეგ იგი დაიუანგება და შეკეთება არა მარტო გაძვირდება, არამედ შეუძლებელიც გახდება და დიდი თანხები, რაც მას შეძენაზე კოლმეურნეობამ დახარჯა, წყალში გადაიყრება...

მექანიზატორებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო, კოლმეურნეებო, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო, ტრაქტორებ და სხვა სახოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები თქვენ გეკუთვნით. ახა გაიხსენეთ, დიდი ლენინი ხომ ათას ტრაქტორზე ოცნებობდა. ჩვენი სახელმწიფოს შემქმნელი ათასი ტრაქტორით სოფლის მეურნეობაში გადატრიალებაზე ფიქრობდა. მას შემდეგ არცთუ ისე დიდი დრო გავიდა, და ჩვენ არა მარტო ათასი ცალი, არამედ უამრავი ტრაქტორი გვაქვს, გვაქვს მძლავრი სახოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მხოლოდ საჭიროა ეს ტექნიკა გონივრულად გამოვიყენოთ, გავუფრთხილდეთ მას.

ზოგჯერ, როცა კოლმეურნეობის ტრაქტორები ან სხვა სახოფლო-სამეურნეო მანქანები უპატრონოდ ყრია მინდვრად ან გზის პირას, უდარდელად ჩავუვლით ხოლმე და ერთი წუთითაც არ დავფიქრდებით, რომ ახინი ზიანდება. განა ეს მანქანები ჩვენი არ არის? განა ამით ჩვენ არ ვზარალობთ? მანქანა ზიანდება, მასში კი დიდი ფულია გადახდილი. ზოგჯერ გულგრილად ვუყურებთ ლაფში ჩაფლულ ტრაქტორებს და ზომებს არ ვიღებთ.

ამას წინათ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა რეიდის მახალები. მხილებული იყვნენ ახალციხის რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელები, რომლებიც უსულგულოდ ეკიდებიან სახოფლო-სამეურნეო ტექნიკას. განა შესაწყნარებელია ის ფაქტი, რომ სოფელ წყალთბილის კოლმეურნეობის ტრაქტორები, სათადარიგო ნაწილები და ხათესები უპატრონოდ ყრია მინდვრად? ახევე ითქმის რაიონის ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობაზეც.

„საქსოფელტექნიკის" ახალციხის სარაიონთაშორისო განყოფილების ეზოში ტრაქტორები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები უპატრონოდ ყრია და ეფანგება. რატომ მოხდა, რომ ეს ძვირფასი მანქანები ფუჭდება? რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელნი უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მანქანების შესანახი ფარდულების მშენებლობას, ტექნიკა კი ფუჭდება.

წულუკიძის რაიონის ხოფელ ჭუტირის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში ფარდული ისე დაბალია, რომ მასში „ბელარუსის" მარკის ტრაქტორები ვერ თავსდება და ეზოშია დატოვებული. უნდა ვკითხოთ ჭუტირელ ამხანაგებს, რა ფასი აქვს ასეთ ფარდულს?

ამ დღეებში გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანაშაულებრივ-დაუდევარი გამოყენების ან შენახვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ". ბრძანებულება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებასა და შენახვაში უყარითობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით არის მიღებული. სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის, სოფლის ყველა მშრომელის ვალია გამხდელოთ ისინი, ვინც უდიერად ეპყრობა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. ისინი არა მარტო ანაზღაურებენ მატერიალურ დანაკლისს, არამედ პასუხსაც აგებენ ხისხლის სამართლის კოდექსით.

სოფლის მეურნეობის მუშაკებო, სპეციალისტებო, მშრომელებო! დიდი წარმატებით გამოვიყენოთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ მას. ტექნიკის სათანადოდ გამოყენებით გავზარდოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, ყოველი ღონისძიებით მივაღწიოთ იმას, რომ შევქმნათ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ეს ღღეები ჩვენს რესპუბლიკაში

საკატიო წიგნი

ბათუმი. (საქ. კორ.). პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკების წახალისების მიზნით, რომლებმაც განსაკუთრებით ისახელეს თავი დიადი შვიდწლეულის ამოცანების შესრულებაში, და იმ მუშაკებისათვის, რომლებიც შემდგომში თვალსაჩინო მაჩვენებლებს მიაღწევენ კომუნიზმის მშენებლობის დიად მიზანდასახულობათა შესრულებაში, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭომ დააწესა „აჭარის ასსრ საპატიო წიგნი".

საპატიო წიგნში შეტანილ მუშაკებს გადაეცემათ სიგელები.

მეგობრობა — გზად და ხიდად

„რუსთავი, მეტალურგიული ქარხანა, ს. საყვარელიძეს".

ამ მისამართზე მოვიდა წერილი. მისი ავტორია დიმიტრი სიდორუკი.

აი რა წერია წერილში:

„ძვირფასო სერგო!

ხშირად ვიგონებ ჩვენს შეხვედრას. შენ ჩვენთან, ენაკიევოში, ჩამოხვედი ქართველ მეტალურგთა დელეგაციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად. მაშინ ბევრი ვისაუბრეთ, გავუზიარეთ ერთმანეთს მუშაობის გამოცდილება. შენ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამომიწვიე".

მე მიგიღე გამოწვევა და ვიკისრე ვალდებულება, რომ ამ წლის ბოლოსთვის ვაწარმოებ 10 ათასი ტონა ფოლადის ზედმეტს. ეს ჩემი ვალდებულება ახლა გადიდებული მაქვს. ახლა ვიკისრებ ვალდებულებას, რომ 1962 წლის ბოლოსთვის ვაწარმოებ 15 ათასი ტონა ფოლადის ზედმეტს.

ჩვენ ვიცით, რომ ენაკიევოში ფოლადის ნახევარზე მეტი ელექტროფოლადია. ამ ფოლადის ხარისხი ძალიან მაღალია. ჩვენ ვიცით, რომ ელექტროფოლადის ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა ფოლადის ვაკუუმში დამუშავება. ჩვენ ვიცით, რომ ენაკიევოში ფოლადის ვაკუუმში დამუშავების ორიგინალური მეთოდი შეიმუშავეს

საზოგადოებრივ საწყისებზე

სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებები — ცხოვრებაში!

ახლა ეს არის მთავარი

ქრონიკული ტექსტის ჰრონგრაფა

სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარება თანდათან გამოიწვევს მის გარდაქმნას საზოგადოებრივ კომუნისტურ თვითმმართველობად, რომელშიც გაერთიანდებიან საბჭოები, პროფესიული, კოოპერაციული და მშრომელთა სხვა მასობრივი ორგანიზაციები. ეს პროცესი მომასწავებელი იქნება დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ყველა წევრის აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივი საქმეების მართვაში.

□ □

რა არის თქვენთან ახალი, მოსკოველო კომუნისტებო?

ამ კითხვაზე მოსკოველმა კომუნისტებმა გვიპასუხეს, რომ დედაქალაქის პარტიული მუშაობის პრაქტიკის არსენალს დღითიდღე ემატება ახალი ფორმები და მეთოდები. სკკპ XXII ყრილობისათვის მზადებისა და ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების დღეებში მოსკოველ კომუნისტთა შემოქმედებითმა აზრმა პარტიულ მუშაობაში დასანერგავად გამონახა ბევრი სიახლე. მოსკოველმა კომუნისტებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს სკკპ პროგრამის მითითებას პარტიული მუშაობის საზოგადოებრივ საწყისებზე წარმართვის შესახებ და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს.

ჩვენ შესაბრძოლ მოსკოვის მთელი რიგი რაიონების პასუხისმგებელ პარტიულ გუშაკებს პარტიული მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებზე. მოსკოვის საქალაქო და საოლქო პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში დანერგილ ზოგიერთ სიახლეზე მოგითხროთ ამ წერილში.

□ □ □

მოსახლეობაში მუშაობის საბჭო პარტიის რაიკომთან

სანამ მუშაობის იმ ახალ ფორმებსა და მეთოდებზე მოგითხრობდეთ, რომლებიც სკკპ XXII ყრილობისათვის მზადების პერიოდში აღმოცენდა ჩვენს რაიონში, ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ თვით რაიონზე, — თქვა მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის ოქტომბრის რაიკომის მდივანმა.

ოქტომბრის რაიონი დედაქალაქის ერთ-ერთი უდიდესი რაიონია. ეს არის მრეწველობის, მეცნიერებისა და მშენებლობის რაიონი. მთლიანად ჩვენს რაიონშია ახალი ჩერიომუშკი და მოსკოვის სამხრეთ-დასავლეთი, რომლებიც ცნობილია მთელ ჩვენს ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთ, როგორც მეშვიდე საკვირველება მშენებლობის ისტორიაში. ამჟამად აქ აშენებულია მილიონობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, დიდი რაოდენობით აშენდება შვიდწლედის ბოლოსათვის. ოქტომბრის რაიონშია მრეწველობის ისეთი გიგანტები, როგორიც არის „კრასნი პროლეტარი“ და ორჯონიკიძის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხანა, რომელთა პროდუქცია კარგად არის ცნობილი მთელ მსოფლიოში. ოქტომბრის რაიონში მუშაობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია თავისი 56 აკადემიკოსით და 78 წევრ-კორესპონდენტით, 500 მეცნიერებათა დოქტორით, 30 სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, 6 უმაღლესი სასწავლებელი, მათ შორის პატრის ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი.

ოქტომბრის რაიონში 1967 წელს მოეწყობა მოსკოვის მსოფლიო გამოფენა.

ამ რაიონში, სადაც ცხოვრობს ნახევარი მილიონი ადამიანი, პარტიული მუშაობის ძვირფასი გამოცდილება დაგროვდა. კომუნისტებმა გამონახეს მასებთან მუშაობის ახალი ფორმა — **მოსახლეობაში მუშაობის საბჭო პარტიის რაიონულ კომიტეტთან.**

მისი ამოცანაა უფრო აქტიურად ჩაებას კომუნიზმის მშენებლობაში რაიონის თვითეული მშრომელი. საბჭო ხელმძღვანელობს პარტიის პროგრამის მითითებით, რომ კომუნიზმის გამარჯვებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასთან ერთად საჭიროა კომუნიზმის ეპოქის ადამიანის აღზრდა. ამ კეთილშობილურ საქმეს, მოსახლეობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებას საბჭო ახორციელებს საზოგადოებრივ საწყისებზე. თვით საბჭოც პარტიის რაიკომთან არსებული საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი ინსტიტუტია. მის შემადგენლობაში 22 კაცია. ესენი არიან წარმომადგენლები, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, რომლებიც შექმნილია ბინათსაექსპლოატაციო კანტორებთან. საბჭოში შედიან საშუალო სკოლების, პოლიკლინიკების, რაიონული ბიბლიოთეკის, მილიციის განყოფილების, ავიტმუნქტების, უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები. საბჭოს ხელმძღვანელობს პარტიის რაიკომის მეორე მდივანი.

საბჭოს სამი კომისია აქვს: მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის, ახალგაზრდობასთან მუშაობისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან მუშაობისა.

საბჭო ადგენს და ახორციელებს სამუშაო გეგმას.

საბჭომ გამოაცოცხლა ხალხოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა; იბრძვის ამორალურ გამოვლინებათა წინააღმდეგ, უფრთხილდება საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ქონებას და ამ სულისკვეთებით ზრდის რაიონის თვითეულ მშრომელს, ეწევა პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდას, აწყობს ლექციებს, საუბრებს, სალამოებს.

რაიონული საბჭო ხელმძღვანელობს ბინათსაექსპლოატაციო კანტორებთან არსებულ საბჭოებს. ასეთი კანტორები შექმნილია სახლ-სამმართველოების ნაცვლად — მათი გამსხვილების გზით.

ბინათსაექსპლოატაციო კანტორის საბჭო თავის მხრივ ემორჩილება რაიონულ საბჭოს. თუ რაიონის საბჭო სკკპ რაიკომთან არის შექმნილი, ბინათსაექსპლოატაციო კანტორების საბჭოები პირველად ორგანიზაციებთან იქმნება. ისინი თავიანთ მიკრორაიონში მუშაობენ, ხელმძღვანელობენ რამდენიმე ჭიშის ან კვარტალის მოსახლეობაში მუშაობას.

აი რამდენიმე მაგალითი № 10 ბინათსაექსპლოატაციო კანტორასთან შექმნილი მოსახლეობაში მუშაობის საბჭოს პრაქტიკიდან.

საბჭომ შეისწავლა მიკრორაიონში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების პირობები, მცხოვრებნი უჩიოდნენ მაღაზიებში ვაჭრობის კულტურის დაბალ დონეს. საბჭომ მოაწყო კითხვა-პასუხის საღამო, რომელზეც მიკრორაიონის მცხოვრებნი შეხვდნენ უნივერმაღის, „გასტრონომის“, ხორცის, ძროხის, თევზის, კულინარიისა და სხვა მაღაზიების დირექტორებს, გამყიდველებს, რაიკომის გაჭრობის განყოფილების გამგეს. გამოვლინდა მთელი რიგი ნაკლოვანებები. კითხვა-პასუხის საღამოზე შეიქმნა მუდმივმოქმედი საზოგადოებრივი კომისია, რომელიც მიკრორაიონში კონტროლს უწევს სავაჭრო ორგანიზაციებში კულტურული ვაჭრობის დონეს.

საბჭო ზრუნავს მცხოვრებთა არა მარტო მატერიალურ, არამედ აგრეთვე სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. მიკრორაიონის საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა საბჭოს ხელმძღვანელობით მოაწყეს № 10 ბინათსაექსპლოატაციო კანტორის გამგებლობაში შემავალ სახლებში მცხოვრებ ფოტომოყვარულთა და მხატვართა გამოფენები, შემდეგ შეიქმნა მხატვართა და ფოტომოყვარულთა წრეები.

კომუნიზმის მშენებელი ადამიანი გემოვნებით უნდა იცვამდეს, — გადაწყვიტეს საბჭოში და № 49 მაღაზიასთან ერთად მოაწყეს ახალი მოდების დემონსტრირება.

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად საბჭომ თავის მიკრორაიონში მცხოვრებთათვის მოაწყო თემატური საღამო, მიძღვნილი სკკპ XXII ყრილობის მასალებისადმი.

საბჭო სახალხო რაზმელებთან ერთად ხელმძღვანელობს იმ მოქალაქეთა ქცევის აღკვეთის საქმეს, რაზმავს მოსახლეობას ეზოების გამწვანებისა და კეთილმოწყობისათვის, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დასაცავად.

საბჭომ თავისი მიკრორაიონის პედაგოგების მეშვეობით მოაწყო ლექტორიუმი მშობლებისათვის, სადაც მშობლები ეცნობიან პედაგოგიკის ელემენტალურ საფუძვლებს. მილიციის განყოფილების მუშაკთა ძალებით მოაწყო მოხსენებები რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მდგომარეობაზე. საბჭომ მედიცინის მუშაკები ჩააბა ჯანმრთელობის დაცვის სახალხო უნივერსიტეტის მუშაობაში.

პენსიონერებმა იკისრეს საბჭოს მიერ შექმნილი ოთხი მოძრავი ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა.

საბჭოს ყურადღების ცენტრშია ახალგაზრდობაში მუშაობა. მიკრორაიონის ახალგაზრდობის ნაწილი ცალკეულ ხულიგანთა გავლენაში მოექცა. ყმაწვილები ბანქოს თამაშობდნენ, ლოთობდნენ. საბჭომ გადაწყვიტა ახალგაზრდობისათვის შექმნა კულტურული დასვენების პირობები. ჯერ გამართეს ცეკვის საღამოები, შემდეგ იმავე საღამოებზე მოაწყეს საუბრები, ლექციები, კინოსურათების ჩვენება, შეხვედრები ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების მოღვაწეებთან. საბჭო ახალგაზრდობასთან მუშაობაში ეყრდნობა კომკავშირულ ორგანიზაციას.

საბჭო აქტიურად ეხმარება ბინათსაექსპლოატაციო კანტორასთან არსებულ ამხანაგურ სასამართლოს, რომელიც კომუნისტური მორალის პრინციპების სადარაჯოზე დგას.

პარტიის რაიკომთან არსებულ მოსახლეობაში მუშაობის რაიონული საბჭო განაზოგადებს პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან შექმნილი საბჭოების მუშაობის გამოცდილებას, ახორციელებს ამ მუშაობის კოორდინაციას.

მოსახლეობაში მუშაობის ძირეული და რაიონული საბჭოები არ ეწევიან რომელიმე სხვა ორგანოს მოღვაწეობის დუბლირებას. მთავარია ის, რომ ეს საბჭოები მასობრივია. მათ მუშაობაში ჩაბმულია მოსახლეობის ყველა ფენა.

ასეთი საბჭოების შექმნა მიზანშეწონილია ქალაქებში. იქნებ ასეთმა პრაქტიკამ სასოფლო რაიონებშიც მოგვცეს კარგი შედეგები — ასე ფიქრობენ მოსკოველი კომუნისტები.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების საბჭო

სკკპ XXII ყრილობისათვის მზადების დღეებში ფრთა შეესხა მოსკოველ კომუნისტთა შემოქმედებითი ჩანაფიქრის განხორციელებას — პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების საბჭოს შექმნას.

აი რა გვიამბეს პარტიული მუშაობის ამ სიახლის შესახებ მოსკოვის ოლქში, პარტიის სოლნეჩნოგორსკის რაიონულ კომიტეტში.

სოლნეჩნოგორსკის რაიონი სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო რაიონია. აქ ბევრია ისეთი დასახლებული პუნქტი და სოფელი, სადაც მუშაობს 5-10 და მეტი პირველადი პარტიული ორგანიზაცია.

მთელ დასახლებულ პუნქტში პარტიულ-ორგანიზაციული და პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის კოორდინაციის მიზნით იქმნება პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების საბჭო. საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე და მოადგილეები. თავმჯდომარედ, როგორც წესი, ყველგან არჩეულია უმსხვილესი პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

მდივნების საბჭო ქმნის განყოფილებებსა და სექტორებს სამუშაოს სტრუქტურის მიხედვით. მაგალითად, დაბა სხოდნიას პირველადი პარტიული ორგანიზაციების საბჭოს კეთილმოწყობის განყოფილება ეხმარება სადაბო საბჭოს დაბის კეთილმოწყობაში. ასე გამონახეს სხოდნელმა კომუნისტებმა სადაბო საბჭოებთან მუშაობის ახალი ფორმა.

პარტიის სოლნეჩნოგორსკის რაიკომმაც კომუნისტების წინაშე ანგარიშგების ახალი მეთოდი გამონახა. იმავე სხოდნიას პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების საბჭოს მეშვეობით მოეწყო სხოდნიას ყველა კომუნისტის ინფორმირება იმის შესახებ, თუ რა გააკეთა სოლნეჩნოგორსკის რაიკომმა პარტიულ კონფერენციაზე და საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტების მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების განსახორციელებლად.

კომკავშირის სოლნეჩნოგორსკის რაიკომს სხოდნიას პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების საბჭომ გაუადვილა ჰაბუკებთან და ქალიშვილებთან მუშაობა. ახალგაზრდობამ უფრო ოვრნო პარტიული ხელმძღვანელობის ძალა მას აქეთ, რაც მდივნების საბჭოსთან შეიქმნა ახალგაზრდობასთან მუშაობის სექტორი.

სხოდნიას პარტიული ორგანიზაციების მდივნების საბჭომ ბევრი რამ გააკეთა სკკპ XXII ყრილობისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამასწინანდელი სესიის გადაწყვეტილებათა პროპაგანდისათვის. სხოდნელ მდივანთა საბჭომ დამატებით მოაწყო წითელი კუთხეები, მუდმივმოქმედი ავიტპუნქტები, გამოფენებმა, დოკუმენტური ფილმების ჩვენება, კითხვა-პასუხის საღამოები, შეხვედრები რევოლუციის ვეტერანებთან, პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაკებთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებთან. სკკპ XXII ყრილობის დელეგატებთან.

მდივნების საბჭო აწარმოებს პარტიული მუშაობის მოწინავე მეთოდების განზოგადებას. იგი ხელმძღვანელობს აგიტატორთა და პროპაგანდისტთა მუშაობას.

მას აქეთ, რაც მდივნების საბჭო შეიქმნა, გაუმჯობესდა ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობა. სხოდნიას პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ამჟამად არ არიან სკკპ წევრობის სტაჟგადაცილებული კანდიდატები.

სხოდნელმა კომუნისტებმა შექმნეს პოლიტიკური განათლების სახლი საზოგადოებრივ საწყისებზე.

მდივნების საბჭომ იცის, რა კეთდება თვითეულ პარტიულ ორგანიზაციაში. საჭირო შემთხვევაში საბჭო იკრიბება, მსჯელობს ამათუ იმ საკითხზე და იღებს სათანადო გადაწყვეტილებას.

ამას წინათ მდივანთა საბჭომ ითათბირა სხოდნელ ახალგაზრდა მუშათა ზოგადი განათლების მდგომარეობაზე. მოხსენებით გამოვიდა საღამოს სკოლის დირექტორი. საბჭოს თათბირის შემდეგ ახალგაზრდობაში გაუმჯობესდა დისციპლინა, ამაღლდა აკადემიური წარმატება. საბჭომ რაიღმასკომის დახმარებით დამატებით შეიძინა სასწავლო ინვენტარი. გაუმჯობესდა მუშა-მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობები.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების საბჭო ზრუნავს სხოდნიაში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის.

მას მჭიდრო კავშირი აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სახალხო რაზმეულებთან, ეხმარება და წარმართავს მათს მუშაობას.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების საბჭოს, როგორც ოპერატიულ პარტიულ ორგანოს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკური კამპანიების ჩატარებისას, მაგალითად, საარჩევნო კამპანიის დროს.

მდივნების საბჭოს მუშაობას წარმართავს პარტიის რაიონული კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევს მას.

მდივნების საბჭო იწვევს არა მარტო სხდომებს. საჭირო შემთხვევაში (ასე იყო, მაგალითად, სხოდნიაში ათეისტური პროპაგანდის მდგომარეობის შესწავლის შემდეგ) იგი იწვევს დასახლებული პუნქტის პარტიულ-კომკავშირული აქტივის კრებას და სხვას საჭირო ფორმებს. ამჟამად სხოდნიაში ხორციელდება ეფექტური ანტირელიგიური პროპაგანდა კინოს, ადგილობრივი რადიოგადაცემების, მხატვრული თვითმოქმედების, ლექცია-საუბრების და იდეოლოგიური მუშაობის სხვა საშუალებათა გამოყენების გზით.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების საბჭომ დაიბის ცენტრში მოაწყო შრომაში დაწინაურებულ ადამიანთა პორტრეტების გალერეა, გაზეთების ვიტრინები.

მდივნების საბჭოს გადაწყვეტილი აქვს დაბაში მოაწყოს სახალხო თეატრი, მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის ფილიალი და ა. შ.

სოლნეჩნოგორსკელ კომუნისტთა გამოცდილება მდივნების საბჭოს მუშაობის დარგში შეესაბამება სკკპ XXII ყრილობის მითითებას პარტიულ მუშაობაში საზოგადოებრივი საწყისების შემდგომი განვითარების შესახებ.

მოსკოველ კომუნისტთა აზრით, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების საბჭოებმა გაამართლეს თავიანთი დანიშნულება. ისინი არ ეწევიან რომელიმე პარტიული ორგანოს დუბლირებას. მათ მუშაობის თავიანთი პროფილი აქვთ და პარტიის რაიკომებსა და ქალაქკომებს ეხმარებიან საღდეისო ამოცანების წარმატებით გადაჭრაში.

ფრუნზეს რაიღმასკომის საზოგადოებრივი საბჭოს წევრები ა. ნ. ბალადინი, გ. კ. დიხტენკო და ა. გ. სარჭისიანი.

ფოტო ა. ბირიულინისა.

წინასწარი განხილვის პარტიული კომისია

სოლნეჩნოგორსკელმა კომუნისტებმა საჭიროდ ცნეს პარტიის რაიონულ კომიტეტთან შექმნათ სკკპ რიგებში მიღებისა და კომუნისტთა პერსონალური საქმეების წინასწარი განხილვის პარტიული კომისია. მას მეტად პასუხსაგები ამოცანები აკისრია: სკკპ რიგებში მისაღებად უკეთესთა შორის უკეთესთა შერჩევა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში, მუშაობა ახალგაზრდა კომუნისტებთან და სკკპ წევრობის კანდიდატებთან, კომკავშირელებთან და კავშირგარეშე ახალგაზრდობასთან. კომისია სისტემატიურად სწავლობს და განიხილავს აგრეთვე კომუნისტთა პერსონალურ საქმეებს.

პარტიულმა კომისიამ, როგორც პარტიის სოლნეჩნოგორსკის რაიკომში გვითხრეს, შესამჩნევად განტვირთა პარტიის რაიკომის აპარატის მუშაობა. რაიკომის მდივნებსა და ბიუროს წევრებს მეტი დრო რჩებათ იმისათვის, რომ უფრო კონკრეტულად უხელმძღვანელონ რაიონის სახალხო მეურნეობას, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას.

პარტიულ კომისიაში 11 კაცი შედის. კომისიას ყავს თავმჯდომარე, ორი მოადგილე და მდივანი. კომისიის შემადგენლობაში შედიან პარტიის რაიკომის წევრები, ძველი ბოლშევიკები, პენსიონერები, ყოფილი პარტიზანები, მუშები და კოლმეურნეები.

პარტიული კომისიის ყველა წევრს მიზნადაც აქვს რამდენიმე პირველადი პარტიული ორგანიზაცია. კომისიის წევრი ადგილზე მიდის, ეცნობა სკკპ რიგებში მისაღებ პიროვნებას, ესაუბრება, ეხმარება პარტიულ ორგანიზაციას პარტიაში მისაღებ პიროვნებათა მომზადებაში და შემდეგ საკითხი სათათბიროდ გამოაქვს პარტიული კომისიის სხდომაზე. პარტიის რაიკომის ბიუროზე საკითხის ასეთი პროცედურის შემდეგ საჭირო აღარ არის პირველადი პარტორგანიზაციის მდივნის გამოცხადება. ბიუროს ესწრება მხოლოდ მისაღები ამხანაგი.

ასევე პერსონალური საკითხების განხილვისას პარტიული კომისია იჩენს გულისხმიერების მაქსიმუმს, დეტალურად სწავლობს საქმის არსს. კომისიის წევრი ჩადის ადგილზე, ესაუბრება კომუნისტებს პარტიის რაიკომის ინსტრუქტორთან ერთად. პარტიული კომისია პერსონალურ საკითხზე კომუნისტის თანდასწრებით მსჯელობს, და თუ კომისიისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს შორის სხვაობა არ არის, პარტიის რაიკომის ბიუროზე ხშირად არც იწვევენ კომუნისტს (მაგალითად, სასჯელის მოხსნის შემთხვევაში), რა თქმა უნდა, თუ იგი თვითონ არ მოითხოვს ბიუროზე დასწრებას.

პარტიულმა კომისიამ დიდად შეუწყო ხელი სოლნეჩნოგორსკის რაიონში სკკპ რიგების ზრდას და კომუნისტთა პერსონალური საკითხების საკუთხევლიანად და დროულად გარჩევას, ხოლო რაც მთავარია, ამ სკკპის ხელმძღვანელობს საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი ინსტიტუტი პარტიის რაიკომის ბიუროსთან ერთად. სოლნეჩნოგორსკელთა ეს სიახლე მოიწონა პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტმა.

გრიგადის დღე

დიდი მოსკოვის ფარგლებშია კრასნოგორსკის რაიონი. კომუნისტები აქაც ეძებენ მუშაობის ახალ ფორმებს.

ყოველი თვის პირველ ოთხშაბათს რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ეწყობა ტრადიციული „ბრიგადის დღე“.

ბრიგადის დღეს თავისებური პროგრამა აქვს. ამ დღეს რაიონის ყველა ბრიგადაში იმართება კრება, რომელზეც კომუნისტები და ბრიგადის სხვა წევრები აჯამებენ გასული თვის მუშაობას, სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, ავლენენ რეზერვებს, აკრიტიკებენ მუქთახორებსა და ზარმაცებს. კოლმეურნეობისა თუ საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობას შეაქვთ წინადადებანი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით.

ამ დღეს ყველა ბრიგადაში მიდის სკკპ რაიკომის მომხსენებელთა ჯგუფის წევრი ან ლექტორი და ბრიგადის წევრებთან აწყობს საუბარს სსრ კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობაზე. ამჟამად ეს საუბრები ძირითადად ეთმობა სკკპ XXII ყრილობის მასალებს, ამგვარად აღწევენ იმას, რომ ლექციურმა პროპაგანდამ მოიცვას რაიონის მთელი მოსახლეობა. ამ დღეს კრასნოგორსკის რაიონს ლექტორთა ჯგუფებით ეხმარებიან შეფები — მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები.

ბრიგადის დღის პროგრამა მთავრდება მხატვრული ნაწილით: გამოდიან მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები, ურჩევნებენ ერთფუძლებს.

ბრიგადის დღეს ყველა ბრიგადაში მიდიან პარტიის რაიკომის წევრები, მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს დეპუტატები, კომკავშირის რაიკომის მუშაკები. ისინი ეცნობიან ბრიგადის შრომას, სწავლობენ რა ულხინს და რა უჭირს ბრიგადის თვითეულ წევრს. ცხოვრების ამგვარმა შესწავლამ უფრო მიზანსწრაფი და კონკრეტული გახადა სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი პარტიულ ხელმძღვანელობა.

„ბრიგადის დღემ“, როგორც კრასნოგორსკის რაიკომში გვითხრეს, თავისი დანიშნულება გაამართლა.

• • •

სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად პარტიულ მუშაობაში საზოგადოებრივი საწყისების დანერგვის ახალი მეთოდები და ფორმები, რომლებიც მოსკოველ კომუნისტთა შემოქმედებითმა ძიებამ მოგვცა, უთუოდ გაფართოვდება. იქნებ საქართველოს კომუნისტებმა, საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობის ახალი ფორმების ძიებასთან ერთად, შემოქმედებითად გამოიყენონ მოსკოვის პარტიული ორგანიზაციების გამოცდილება.

ვლ. ალფენიძე.

მოსკოვი, დეკემბერი.

მუშაობენ საზოგადოებრივ საწყისებზე

კარგი ნაბიჯი

ფარითა პარტიის სამგორის რაიკომთან არსებული სოფლის მეურნეობაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის შტატგარეშე განყოფილების სამოქმედო ასპარეზი: საკითხების ბიუროს განსახილველად მომზადება, ადგილზევე გადაწყვეტა, რაიონული თათბირების მოწვევა, რეკომენდაციების მიცემა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების მიღწევების დანერგვის თაობაზე.

ერთი ფაქტი. ამ რამდენიმე ხნის წინ განყოფილებამ გარეშე ავტორთა მონაწილეობით შეისწავლა რაიონის საბჭოთა მეურნეობებში სამინდის მოვლა-მოყვანის საქმეში კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის მდგომარეობა. შემოწმების საფუძველზე პარტიის რაიკომმა მოიწვია რაიონული თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, მთავარი აგრონომები, მექანიზატორები, კომუნისტური შრომის ბრიგადების ხელმძღვანელები.

მოხსენება გააკეთა სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკმა შ. ლეფსვერაძემ.

განყოფილებას შესწავლილი აქვს და მალე რაიკომის ბიუროზე გაიტანს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ ეხმარებიან საბჭოთა მეურნეობებს რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები მოწინავე გამოცდილების დანერგვაში.

შტატგარეშე განყოფილების მუშაობის რვა თვის პრაქტიკამ ცხადყო, რომ საჭიროა გადიდდეს მისი შემადგენლობა 7-დან 14 კაცამდე, რათა უფრო ამაღლდეს განყოფილების როლი და გადიდდეს ფუნქციები.

იდეოლოგიური მუშაობის კერა

რუნავია პარტიის XXII ყრილობის მასალების პროპაგანდა და ღრმად შესწავლა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება.

კაბინეტში მოწყობილია ყრილობის მასალების, ლექცია-მოხსენებების თემატიკის, დიაგრამების, პლაკატების გამოფენები. პოლიტიკური განათლების კაბინეტი ხელმძღვანელობას უწევს საგატაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას, მომხსენებელთა ჯგუფს, ძირეულ პრესას და ადგილობრივ რადიოგადაცემებს.

კაბინეტთან შექმნილია მეთოდური საბჭო 9 კაცის შემადგენლობით, რომელსაც უპარტიო ინჟინერი შ. კიკვაძე ხელმძღვანელობს.

პოლიტიკური განათლების კაბინეტები

ცხინვალი. (საკ. კორ.). სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი მასებში — ასეთია ახლა პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანა. ამ ამოცანის გადაწყვეტას შეუდგნენ პოლიტიკური განათლების კაბინეტები, რომლებიც სოფლად საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა. ცხინვალის რაიონის სოფლების აჩაბეთის, კეხვის, არცევის კოლმეურნეობებში, აგრეთვე ერედვის საბჭოთა მეურნეობაში პოლიტიკური განათლების კაბინეტები უკვე შეუდგნენ პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდას. ლექტორი ქ. მარგალიტაძე ერედვის მშრომელებს ესაუბრა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ახალ სისტემაზე. ძარწმის საშუალო სკოლის დირექტორმა ი. მაისურაძემ ამ სოფლის ახალგაზრდობისათვის წაიკითხა ლექცია თემაზე „ახალგაზრდობის პოლიტიკური სწავლება კომუნიზმის მშენებლობის მნიშვნელოვანი საკითხია“.

პარტიის ცხინვალის რაიკომთან შეიქმნა სოფლის მეურნეობის შტატგარეშე განყოფილება, რაიკომის სხვა განყოფილებებთან ფართო მუშაობას უწევიან შტატგარეშე ინსტრუქტორები.

სოფლის აქტივის მონაწილეობა პოლიტიკურ მუშაობაში დიდ ინტერესს იწვევს მოსახლეობაში.

საგუშაგო იძლევა სიგნალს

„ჭუთაისის“ ფურცლებზე

ნაყოფიერად მუშაობენ ჭუთაისის საქალაქო გაზეთ „ჭუთაისის“ რედაქციასთან შექმნილი პრესგაზეთის, საბჭოთა მშენებლობისა და ახალი ტექნიკის დანერგვის შტატგარეშე განყოფილებები.

გაზეთის შტატგარეშე განყოფილებები შეიქმნა ავტოქარხანასთან, მაუდის ფაბრიკასთან, აბრეშუმის კომბინატთან და ლიტოპონის ქარხანასთან.

ცალკეულ საწარმოებთან შექმნილია გაზეთის საგუშაგოებიც. შტატგარეშე განყოფილებებისა და საგუშაგოების დახმარებით გაზეთ „ჭუთაისის“ რედაქცია გაზეთის ფურცლებზე პერიოდულად აძლევს რუბრიკას „მკითხველები გვწერენ, გვირჩევენ, გამოთქვამენ კრიტიკულ შენიშვნებს“.

△ საქართველოს კომპარტიის რაიონულ, საქალაქო და საოლქო კომიტეტებში მუშაობს 1.800 შტატგარეშე ინსტრუქტორი. ეს ორჯერ მეტია პარტიული კომიტეტების შტატის მუშაკთა რიცხვზე.

△ პარტიულ კომიტეტებთან შექმნილია სხვადასხვა პროფილის 60 შტატგარეშე განყოფილება, რომლებიც აერთიანებენ 800-მდე კომუნისტს.

△ საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს პოლიტიკური განათლების 218 კაბინეტი, 5.800-ზე მეტი შტატგარეშე ლექტორი და პოლიტიკური მომხსენებელი, აგიტატორთა სკოლები, მუდმივმოქმედი აგიტპუნქტები, მეთოდური საბჭოები.

△ რესპუბლიკაში ითვლება პარტიული კონტროლის 3.049 კომისია, აქედან მრეწველობაში — 1.228, მშენებლობებზე — 207, ტრანსპორტზე — 213, ვაჭრობაში — 196, საბჭოთა მეურნეობებში — 293, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში — 37 და სხვ. მათში მუშაობს 12 ათასზე მეტი კომუნისტი.

△ ახლა რესპუბლიკას ადგილობრივ საბჭოებში მუშაობს 50 შტატგარეშე განყოფილება, რომლებიც აერთიანებს 700 კაცს.

△ საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმულია პენსიონერთა მრავალრიცხოვანი არმია.

ციფრები და ფაქტები

ა. ი. მიქოიანი გვინეაში

მიქოიანმა გვირგვინი თ შეამკო კოლონიალიზმის მსხვერპლთა ძეგლი.

კონაკრი, 7 იანვარი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ა. ი. მიქოიანი, რომელიც აქ ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება, 6 იანვარს ეწვია გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტსა და მთავრობის მეთაურს სეკუ ტურეს.

ა. ი. მიქოიანსა და სეკუ ტურეს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი.

პრეზიდენტ სეკუ ტურესთან ვიზიტის შემდეგ ა. ი. გვირგვინით შემკობის ცერემონიას დაესწრო გვინეის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ლუი ლანსანა ბეავოგი. შეასრულეს სსრ კავშირისა და გვინეის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

იმავე დღეს ა. ი. მიქოიანმა შემდეგი ჩაწერა გვინეის რესპუბლიკის საპატიო სტუმართა ოქროს წიგნში. „ჩვენ საბჭოთა კავშირიდან ჩამოვუტანეთ გვინეელ ხალხსა და ახალგაზრდა გვინეის სახელმწიფოს მხურვალე სალამი და კეთილი სურვილები პროგრესის საქმეში, ეკონომიკისა და კულტურის აყვავებაში“.



შეწყდეს ამერიკის კომპარტიის დევნა

ნიუ-იორკი. საკდესის კორესპონდენტი გ. ფრიმენი იტყობინება: შეერთებული შტატების კომუნისტურმა პარტიამ სასამართლოს მიმართა თხოვნით მოხსნას ბრალდებანი, რომლებიც წამოყენებული მას წინააღმდეგ იმ საფუძველზე, რომ კომპარტია არ არის რეგისტრებული მაკარენის ყბადაღებული კანონის შესაბამისად. გუშინ დილით კომპარტიის ორმა ადვოკატმა ვაშინგტონის ფედერალურ რაიონულ სასამართლოს გადასცა რიგი იურიდიული დოკუმენტები, რომლებიც მოითხოვენ სავსებით შეწყდეს პარტიის წინააღმდეგ აღძრული სასამართლო საქმე.

ამ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ კომუნისტურ პარტიას არ შეეძლო დარეგისტრება მაკარენის კანონის მიხედვით, ისე რომ არ გამოეწვია პარტიის მუშაკებისა და წევრების დევნა სხვა კანონების საფუძველზე, რომლებიც თვალსაზრისებენ სასტიკად დასჯას კომუნისტური საქმიანობისათვის შეერთებულ შტატებში. ადვოკატებმა აღნიშნეს, რომ, როცა კომუნისტურ პარტიას წინადადება მისცეს რეგისტრაციაში გატარებულიყო, მთავრობამ ფაქტიურად დაარღვია შეერთებული შტატების კონსტიტუციის მეხუთე შესწორება, რომელიც იცავალსწინებს, რომ არავინ არ შეიძლება აიძულონ მისცეს ჩვენება თავის თავის წინააღმდეგ.

ადვოკატებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მაკარენის კანონი და მთავრობის ცდები განახორციელოს ეს კანონები, არღვევს სიტყვის, პრესისა და კრებების თავისუფლებას, რაც გათვალისწინებულია კონსტიტუციით. ამრიგად მათ გამოთქვეს აზრი, რომ კომუნისტური პარტიის სასამართლო დევნა მთავრობის მხრივ არა მარტო არღვევს ელემენტარულ პოლიტიკურ უფლებებს, არამედ თელავს ამერიკის ძირითად კანონსაც.

კომუნისტურმა პარტიამ მოითხოვა შეწყვიტონ საქმე მის წინააღმდეგ აგრეთვე სხვადასხვა ფორმალური მიზეზის გამო, ამასთან აღნიშნა, რომ წესები და ფორმულარები, რასაც მთავრობა მოითხოვს რეგისტრაციისათვის, ეწინააღმდეგება კანონს.

გადაწყვეტილებას კომუნისტური პარტიის საჩივრის შესახებ ფედერალური რაიონული სასამართლო, როგორც ჩანს, მიიღებს უახლოეს რამდენიმე კვირაში. თუ სასამართლო უარყოფს საჩივარს, პროცესი კომუნისტური პარტიის საქმის გამო დაიწყება გაშინგტონში 1 თებერვალს.

ამავე დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში ფართოდება მოძრაობა მაკარენის დრაკონული კანონის გაუქმებისათვის, რომლითაც პარტია უნდა წარსდგეს სასამართლოს წინაშე.

თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფმა ღია წერილი გაუგზავნა პრეზიდენტ კენედის, რომელშიც ითხოვს წინადადება მისცეს კონგრესს ამოიღოს ეს ყბადაღებული კანონი კანონების კრებულიდან. მათ შორის არიან კოლუმბიის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი დორტი ბრიუსტერი, გაზეთ „ნიუზლ გარდიანის“ რედაქტორი ჯეიმს არონსონი, უოლ-სტრიტის იურისტი და ფინანსისტი რინოდ სელნდრეტი და სხვები.

წერილში, კერძოდ, ნათქვამია: „ჩვენ დიდად ვართ შეშფოთებული მაკარენის კანონის მიზნებისა და იმ გაუთვრებული ცდების გამო, რომ ჩაახშონ თავისუფლებანი, რომლებიც ასეთი გაჭირვებით მოიპოვეს და ასე მამაცურად იცავდნენ მრავალი წლის განმავლობაში.

თუმცა ჩვენ არა ვართ კომუნისტური პარტიის წევრები, მაგრამ გვცხვენია მაკარენის კანონისა. რომელიც ემუქრება დიდი ხანია არსებულ პოლიტიკურ პარტიასა და მის წევრებს, რომ წაართმევს ამ უფლებებს, და ემუქრება მათ, რომ კანონგარეშედ გამოაცხადებს ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით... ჩვენ სერიოზულად მოგიწოდებთ თქვენ, ბ-ნო პრეზიდენტო, უზრუნველყოთ, რომ მაკარენის კანონის გაუქმება აუცილებელ პირობად შევიდეს მომქედების პროგრამაში, რომელსაც გათვალისწინებთ თქვენ და კონგრესის წევრები კონგრესის მომავალი სესიის განმავლობაში.

ფიდელ კასტრო მოგვითხრობს

დომინგოს რესპუბლიკის მოსახლეობა ათწლეულების განმავლობაში ტრუხილოს ტირანიის ქვეშ ინთქმებოდა. ამ ტირანის სახელი არ არსებობს. ვინც ოდესმე ყოფილა მის ქვეყანაში ეს გაუმძლარი და სასტიკი მმართველი ძალადობასა და თვითნებობას სჩადიოდა, აბშობდა ხალხის თუნდაც ოდნავ ცდას — მოეპოვებინა თავისუფლება და მიეღწია თავისი ქვეყნის დემოკრატიზაციისათვის. მაგრამ დაჰკრა ჟამმა, და ამერიკის მონოპოლისტური კაპიტალის მიერ ნასაზრდოები და ამერიკელთა ხიშტებზე დაყრდნობილი რეჟიმი დაემხო.

დომინგოს რესპუბლიკის ბევრ ქალაქში ამ ბოლო დრომდე კიდევ იდგა მონუმენტები პირსისხლიანი დიქტატორისა, რომელმაც სიცოცხლეშივე „უკვდავყო“ თავისი თავი სხვადასხვა პოზით: ზოგ მონუმენტზე იგი გამოსახულია მჯდომარე, ზოგზე — მდგომარე, ზოგზე კი — ამხედრებული. ... პატარა ქალაქ სან-კრისტობალის მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს: კმარა! სურათზე (მარჯვნივ ზემოთ) თქვენ ხედავთ, როგორ ამხობენ და სანაგვეზე მიათრევენ ტრუხილოს მონუმენტს. გზაც იქით ჰქონია!



მეორე სურათზე (მარცხნივ) აღბეჭდილია ეპიზოდი იაპონიის მშრომელთა ბრძოლისა იაპონიის მიწასწყალზე ამერიკის რაკეტული ბაზების მშენებლობის წინააღმდეგ. ტოკიოს სამხრეთით 150 მილზე მდებარე პატარა კუნძულ ნიიძიმას მცხოვრებნი მიტინგზე შეეკრიბნენ, რათა პროტესტი განეცხადებინათ მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტთა საამებელი იაპონია სამხედრო კატასტროფისაკენ მიჰყავს. მოფაშისტო არამზადებმა, რომლებმაც ამ უკანასკნელ ხანს განსაკუთრებით გააქტიურეს თავიანთი მოქმედება, გადაწყვიტეს ჩაეშალათ მიტინგი. ისინი ხელკეტებით შეიარაღებულნი დაესხნენ თავს კლუბის შენობას, სადაც შეკრებილი იყვნენ მუშები. მაგრამ ფაშისტთა გამოხდომა ჩაიფუშა. პროგოკატორებმა მუშების შეტევის გამო უკან დაიხიეს.

სპორანგეთი. ავეირონის ქვანახშირის აუზის შახტების ადმინისტრაციამ გამოაცხადა, რომ განზრახული აქვს დახუროს საწარმოები „არარენტაბელობის“ საბაბით. ამან მუშების აღშფოთება გამოიწვია. ორი ათასი მაღაროელი შახტებში ჩავიდა და ზევით აღარ ამოდის. ისინი ახალწელსაც იქ შეხვდნენ. სურათზე: დეკანჯილის მეშახტეთა ჯგუფი მიწისქვეშ.

ფრანს პრეს-ხაკდესის ფოტო.

სსრ კავშირის მიესალმება მთელი გვინეა

საგჭოთა გამოფენა უცხოეთში

გვინეა

კონაკრი, 8 იანვარი. (საკდესი). 6 იანვარს საღამოს გვინეის რესპუბლიკის დედაქალაქ კონაკრიში გაიმართა გვინეაში და დასავლეთ აფრიკაში პირველი საბჭოთა სავაჭრო-სამრეწველო გამოფენის გახსნის საზეიმო ცერემონია.

გამოფენის გახსნაზე მოვიდა მრავალი სტუმარი — ეროვნული კრების დეპუტატები, სხვადასხვა სამსახურისა და სამმართველოს ხელმძღვანელები, დიპლომატები. სტუმრებს ხვდებიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ა. ი. მიქოიანი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ლ. ორლოვი, გამოფენის დირექტორი ი. ა. გულაი, სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებული გვინეის რესპუბლიკაში ი. ი. მარჩუკი.

გაისმის საყვირის ხმა. გამოფენაზე მოდიან გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტი სეკუ ტურე. ყველა ამყამად კონაკრიში მყოფი მინისტრი და გვინეის დემოკრატიული პარტიის პოლიტბიუროს წევრები.

საბჭოთა გამოფენის მუშაობის დაწყებისადმი მიძღვნილ სხდომას მოკლე შესავალი სიტყვით ხსნის გამოფენის დირექტორი ი. ა. გულაი. იგი სიტყვას აძლევს ა. ი. მიქოიანს.

შემდეგ გამოდის გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტი სეკუ ტურე.

ა. ი. მიქოიანისა და სეკუ ტურეს სიტყვები არაერთხელ შეწყვეტინეს ტაშით. ა. ი. მიქოიანმა გამოფენის გახსნის პატივი დაუთმო პრეზიდენტ სეკუ ტურეს, რომელმაც დამსწრეთა ტაშის გრიალში გადაჭრა ლენტა გამოფენის პავილიონის შესასვლელის წინ. ა. ი. მიქოიანმა სთხოვა გვინეელ სტუმრებს დაეთვალიერებინათ გამოფენა. პრეზიდენტმა და თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს გამოფენის ყველა განყოფილება, გამოკითხეს გამოფენის ექსპონატების შესახებ, თვალყურს ადევნებდნენ სხვადასხვა მანქანისა და მექანიზმის დემონსტრაციას. გამოფენის დათვალიერების შემდეგ სეკუ ტურემ ასეთი ჩაწერა დატოვა შთაბეჭდილებათა წიგნში: „საუცხოო შთაბეჭდილებაა. იგი ადასტურებს ჩვენთვის 1917 წლის დიდი საბჭოთა რევოლუციის სამართლიანობას და განგვმტკიცებს ადამიანთა მომავლის რწმენას, რომლებიც ესწრაფვიან თავისუფლებას, დემოკრატიულ პროგრესსა და მშვიდობას“.

იმავე დღეს გამოფენა გაიხსნა ხალხისათვის.

ნიუ-იორკი

მოსკოვი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ ნიუ-იორკში გაიხსნება ბავშვთა ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების საბჭოთა გამოფენა, დღეს მოსკოვიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გაფრინდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტისა და რუსეთის სფსრ განათლების სამინისტროს მუშაკთა ჯგუფი.

გამოფენის დირექტორმა ზ. ი. სოლოდკაიამ სკკდესის კორესპონდენტს აცნობა:

— გამოფენა ნიუ-იორკში გაიხსნება იანვრის მეორე ნახევარში. გამოფენაზე წარმოდგენილ იქნება 800-მდე სხვადასხვა ექსპონატი, რომელიც ასახავენ საბჭოთა კავშირის ნორჩ მოქალაქეთა ცხოვრებას, სწავლასა და დასვენებას.

ექსპონატებს შორის არის მაბიჯი ექსკავატორის „ეშ-25“ მოქმედი მოდელი, რომელიც სვერდლოვსკის № 1 სახელოსნოს სასწავლებლის მოსწავლეებმა დაამზადეს, თბომავლის მოქმედი მოდელი, რომელიც ნორჩმა მოსკოველებმა გააკეთეს, უამრავი სხვადასხვა ხელსაწყო, თვალსაჩინო ხელსაწყო, მხატვრული ნაკეთობანი, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნახატები.

გამოფენის დათვალიერების სამახსოვროდ ექსკურსანტები მიიღებენ ფერად ღია ბარათებს, რომლებიც დაიბეჭდება აქვე სახიჭ საბეჭდ მანქანაზე, რომელიც რიბინსკის ნორჩმა ოსტატებმა დაამზადეს.

— ჩვენ იმედი გვაქვს, განაცხადა ამხ. სოლოდკაიამ, — რომ გამოფენა თავის წვლილს შეიტანს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხთა მშვიდობის, მეგობრობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებაში.

კუბის ახალი ბიუჯეტი

ჰავანა, 7 იანვარი. (საკდესი). კუბის მინისტრთა საბჭომ მიიღო კანონი 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. ბიუჯეტი დამტკიცებულია 1853 მილიონი პესოს რაოდენობით. ბიუჯეტს დეფიციტი არ ექნება.

კუბის ახალი ბიუჯეტის დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ მნიშვნელოვნად იზრდება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების, განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ასიგნებანი.

მომდინარე წელს სახელმწიფოს ხარჯები ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარებლად ან შეადგენს დაახლოებით 700 მილიონ პესოს, აქედან მრეწველობისათვის ასიგნებულია 208 მილიონი, სოფლის მეურნეობისათვის — თითქმის 112 მილიონი. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ხარჯები 270 მილიონ პესოს აღემატება. კუბის ისტორიაში სახელმწიფოს არასოდეს არ გამოუყოფია ამდენი თანხა სახალხო განათლებისათვის.

კუბაში ბურჟუაზიულ-მემამულური რეჟიმის ბატონობის უკანასკნელ წელთან — 1958 წელთან შედარებით მომდინარე წელს სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები ერთისამად გაიზრდება... ამ მიზნით ბიუჯეტით დამტკიცებულია 89 მილიონი პესო.

კუბის მინისტრთა საბჭომ მიიღო აგრეთვე ახალი კანონი სახელმწიფო დაბეგვრის შესახებ, რომლის შესაბამისად ისპობა წინანდელი ანარქიული სისტემა, როცა ასზე მეტი სხვადასხვა გადასახადი არსებობდა.

საკოსა და ვანცეტის რეაბილიტაციისათვის

რომი, 6 იანვარი. (საკდესი). საკოსა და ვანცეტის — ამერიკის შეერთებულ შტატებში 1920 წელს აშკარად ცრუ ბრალდებით დაპატიმრებული და 1927 წლის 23 აგვისტოს სიკვდილით დასჯილი იტალიური ეროვნების ორი მუშა-რევოლუციონერის — რეაბილიტაციისათვის ბრძოლის კომიტეტი ჩრდილოეთ იტალიის სამრეწველო რაიონებში აგროვებს ხელმოწერას პეტიციაზე. კომიტეტი მოითხოვს, რომ იტალიის მთავრობამ მოსთხოვოს ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებს — ოფიციალურად ცნონ უდანაშაულოდ ანტიმუშური რეპრესიების ორი მსხვერპლი — საკო და ვანცეტი.

ინდონეზიის მთავრობის ღონისძიებანი

ჯაკარტა. (საკდესი). ინდონეზიის თავდაცვის საბჭოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების შესაბამისად შეიქმნა საყოველთაო მობილიზაციის კომიტეტი მინისტრ ამბაღის თავჯდომარეობით. კომიტეტი იწყებს საყოველთაო მობილიზაციის განხორციელების გეგმის შემუშავებას, იუწყება ანტარის სააგენტო.

ინდონეზიის სამხედრო საჰაერო ძალების სარდლობამ გუშინ გამოაქვეყნა გაფრთხილება ყველა მფრინავისადმი, რომ საჰაერო სივრცე ინდონეზიის აღმოსავლეთ ნაწილში დასავლეთ ირიანის მახლობლად დახურულია ყველა ფრენისათვის. მოცემულია აკრძალული ზონის ზუსტი კოორდინატები. სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენელმა მაიორმა სუროტომ განაცხადა, რომ ეს ღონისძიებანი მიღებულია პრეზიდენტ სუკარნოს 19 დეკემბრის ბრძანების შესაბამისად.

ეს ღონისძიებანი, თქვა შემდეგ სუროტომ, საშუალებას იძლევა გაძლიერდეს ეროვნული უშიშროება დასავლეთ ირიანის საკითხში ჰოლანდიის პოზიციასთან დაკავშირებით.

„მშვიდობიანი თანამშრომლობის დიდებული ნიმუში“

კაირო, 8 იანვარი. (საკდესი). 9 იანვარს ეგვიპტელი ხალხი აღნიშნავს ასუანის მაღალი კაშხალის მშენებლობის დაწყების მეორე წლისთავს. კაშხალი შენდება საბჭოთა კავშირის ტექნიკური და ფინანსური დახმარებით. „თანამონი წლის განმავლობაში, — წერს გაზეთი „ალბარ ელ-იაუმი“, — ჩვენს წინაშე იღგა, თითქოს და გადაუჭრელი პრობლემა — რა გზით დაგვეკმაყოფილებინა წყლით ჩვენი გრეელი უდაბური მიწები. დღეს შეუპოვარი შრომითი გწყვეტით ამ პრობლემას. ჩვენ ვაშენებთ მაღალ კაშხალს, რომელზეც ვამყარებთ უდიდეს ამედებს“.

გაზეთი აღნიშნავს დიდ ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს ასუანის მაღალი კაშხალის მშენებლობას და ხაზს უსვამს, რომ 1958 წელს დადებული შეთანხმებით ამის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი ეკონომიურ და ტექნიკურ დახმარებას გაუწევს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას ასუანის მაღალი კაშხალის პირველი რიგის მშენებლობაში, „ბოლო მოეღო ყოველგვარ პოლიტიკურ ინსინუაციას, რომელიც იქმნებოდა მსოფლიოში მაღალი კაშხალის პროექტის გამო“.

„9 იანვრის დღე, — აღნიშნავს „ალბარ ელ-იაუმი“, — სამუდამოდ შევა ჩვენს ისტორიაში. ორი წლის წინათ ამ დღეს 30 ტონა დინამიტის აფეთქებამ ასუანში მთელ მსოფლიოს უწყა, რომ დაიწყო ასუანის მაღალი კაშხალის მშენებლობა. მას შემდეგ მშენებლობის სამუშაოები არ წყდება არც დღისით, არც ღამით. 1960 წლის 27 აგვისტოს ხელი მოაწერეს ახალ შეთანხმებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი ხელს შეუწყობს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას მაღალი კაშხალის მშენებლობის დამთავრებაში. დღეს ჩვენ ეშვი არ გვეპარება, რომ ავაშენებთ ამ კაშხალს. მისი შექმნა მოასწავებს არაბი ხალხის ისტორიულ გამარჯვებასა და მის საუკუნოვან მისწრაფებათა განხორციელებას“.

„დღეს, — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „ბურს ეჟიპსიენი“, — კაშხალის მშენებლობაში ერთად შრომობს 9.000 არაბი მუშა და 402 საბჭოთა და არაბი ინჟინერი და ტექნიკოსი. ისინი იპყრობენ მთებს, რათა დიდი ნილოსი გადაქცეთ ადამიანის სამსახურის გამგონე ალაღად“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ თუმცა ასუანის მაღალი კაშხალის მშენებლობის გზაზე კიდევ ბევრი სიძნელეა გადასალახავი, ეგვიპტელი ხალხის ღონისძიებანი ამ ოცნების განხორციელების საქმეში უეჭველია სრული გამარჯვებით დაგვირგვინდება.

გაზეთი „პროგრე ეჟიპსიენი“ კაშხალის მშენებლობას ახასიათებს როგორც „სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური სისტემის ქვეყნების მშვიდობიანი თანამშრომლობის დიდებულ ნიმუშს.

გზა გაღავუღობით ფაშიზმს!

საფრანგეთის კომპარტიის განცხადება

პარიზი, 7 იანვარი. (საკდესი). მძლავრი 50 ათასიანი დემონსტრაცია პარიზის რვა სხვადასხვა რაიონში, ხალხმრავალი საპროტესტო დემონსტრაციები ალანსონში, ლილსა და ტულუზაში — ასე უპასუხა მუშათა საფრანგეთმა ფაშისტური იტალიქვეშეთის თავხედურ პროვოკაციებს საფრანგეთის მშრომელთა ავანგარდის — კომპარტიის წინააღმდეგ.

გუშინდელ დემონსტრაციებთან დაკავშირებით გამოქვეყნდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის განცხადება, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ხელისუფალთა მიერ დემოკრატების წინააღმდეგ გამოყენებული პოლიციის რაზმების მიუხედავად, საფრანგეთის მუშებმა კომპარტიის მოწოდებით მშვიდად და საკუთარი ძალის შეგნებით ცხადყვეს გუშინ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გზა გადაუღობონ ფაშიზმს. ხალხს, ნათქვამია განცხადებაში, შეუძლია იქროს მხოლოდ თავისი ძალების იმედი, რათა დაიცვას ის თავისუფლებანი, რომლებითაც იგი ჯერ კიდევ სარგებლობს, გააააღლოს დემოკრატია, უზრუნველყოს წესრიგი და მოქალაქეთა უშიშროება.

ამჟამად საფრანგეთს ემუქრება სამოქალაქო ომი და ქაოსი, ემუქრება აშკარა ფაშიზმი, აღნიშნულია საფრანგეთის კომპარტიის განცხადებაში. ფაშისტი ავანტიურისტები სარგებლობენ დაუსჯელობით და დღითიდღე უფრო თავხედი ხდებიან. ეროვნული მოვალეობაა შევქმნათ დემოკრატიული ძალების კავშირი ფაშიზმის წინააღმდეგ საერთო ბრძოლისათვის. ახლა უთანხმოებისა და რეაქციასთან კომპრომისების ძებნის დრო აღარ არის. დადგა ჟამი, როცა საჭიროა ყველა დემოკრატის მჭიდროდ შეკავშირება ფაშიზმის წინააღმდეგ, მიუხედავად უთანხმებისა, რომელიც ჩვენ შეიძლება გვქონდეს სხვა საკითხებში. თავის მხრივ, კომუნისტები გამოდიან საიდუმლო ორგანიზაციის ყველა მსხვერპლის დასაცავად.

საფრანგეთის კომპარტია მოუწოდებს ყველა დემოკრატსა და რესპუბლიკელს გააააქტიურონ საქმიანობა საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის წევრ მკვლელთა და მათ თანამონაწილეთა და თანამგონებელთა გასაუნებლებად, იმისათვის, რომ მიაღწიონ წმენდას არმიაში, პოლიციასა და ადმინისტრაციაში, უზრუნველყონ, რომ მუშათა და დემოკრატიულ ორგანიზაციებს ენეკთ უფლება და საშუალებანი დაიცვან თავიანთი შენობები და თავიანთი მომხრენი.

ერთიან მწყობრში, ხაზგასმით აღნიშნულია დასასრულ საფრანგეთის კომპარტიის განცხადებაში, საფრანგეთის დემოკრატები შექმნიან ყველგან — საწარმოებსა და საცხოვრებელ ბინებში ანტიფაშისტურ კომიტეტებს. ერთად იბრძოლებენ ისინი ალჟირის მშვიდობისათვის, დემოკრატიის აღდგენისა და განახლებისათვის, იმისათვის, რომ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგეს ძლიერი და მტკიცე მთავრობა, შედგენილი დამფუძნებელი კრების მიერ, რომელიც არჩეულ იქნება დემოკრატიული გზით და განახორციელებს ხალხის ინტერესების შესაბამის პოლიტიკას.

ტელეგრაფი გვატყობინებს

ნიუ-იორკი, 7 იანვარი. (საკდესი). როგორც ახლახანს გახდა ცნობილი, დღეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი კენედი ეთათბირა თავის სპეციალურ რწმუნებულს დასავლეთ ბერლინში გენერალ კლეის „ბერლინისა და გერმანიის მდგომარეობის შესახებ“.

ვოშინგტონი, 8 იანვარი. (საკდესი). ინგლისის მთავრობამ უნდა განახორციელოს უფრო დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა, უარი უნდა თქვას პოლიტიკაზე, რომელსაც საფუძვლად უდევს ატომური იარაღი, აგრეთვე უნდა გაიყვანოს ინგლისის ჯარები დასავლეთ გერმანიიდან და მიაღწიოს საზავო შეთანხმებას საბჭოთა კავშირთან დასავლეთ ბერლინის საკითხზე, წერს ინგლისელი მწერალი და ისტორიკოსი კორნელი ბარნეტი გაზეთ „დეილი ექსპრესში“.

„საჭიროა, — აღნიშნავს ბარნეტი, შევწყვიტოთ კუდში ჩაჩალი, და ნატოს თეორიის განხორციელება, რომელიც ამერიკელთა ბატონობის ქვეშ იმყოფება“.

ვანკოი, 8 იანვარი. (საკდესი). როგორც სააგენტო „განთავისუფლება“ იუწყება, 1961 წლის ოქტომბერში სამხრეთ ვიეტნამის არმიის რიგებიდან ნამ ბოს პროვინციაში დეზერტირობდა და პატრიოტთა მხარეზე გადავიდა 6 ათასზე მეტი ჯარისკაცი.

სააგენტო იუწყება ერთ შემთხვევას, როცა ჯარისკაცთა ოცეული, რომელიც დაბანაკებული იყო ვინ-ლონგის ეგრეთწოდებულ „აყვავების ზონაში“, გადავიდა ხალხის მხარეზე.

დამასკო, 8 იანვარი. (საკდესი). გუშინ გაიმართა სირიის არაბთა რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების საგარეო საქმეთა კომისიის სხდომა, რომელზეც შუა აღმოსავლეთის მდგომარეობის შესახებ, რაც შეიქმნა სპარსეთის ყურის ზონაში ინგლისის შეიარაღებული ძალების კონცენტრაციისა და ლიბანის უკანასკნელი ამბების შედეგად, მოხსენება გააკეთა პრემიერ-მინისტრმა სარ მაარუფ ედ-დავალიბიმ. ამ მოხსენების განხილვის შედეგად საგარეო საქმეთა კომისიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გამოთქმულია შეშფოთება არაბთა აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რაც გამოწვეულია იმპერიალისტთა ცდებით მოაწყონ შეთქმულებანი არაბთა ქვეყნების წინააღმდეგ. კომისიამ მოსთხოვა მთავრობას მიიღოს ყველა საჭირო ღონისძიება ყოველი იმპერიალისტური შეთქმულებისა და გარედან სამხედრო საფრთხის ლიკვიდაციისათვის, რომელიც ემუქრება სირიასა და არაბთა სხვა ქვეყნებს.

პორტუგალია უარს ამბობს

პარიზი, 7 იანვარი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება ლისაბონიდან, პორტუგალიის მთავრობამ უარი თქვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შესრულებლის უ ტანის წინადადებაზე პორტუგალიის კოლონია ანგოლისა და კატანგის საზღვარზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა განლაგების შესახებ.

უ ტანმა, როგორც ცნობილია, ასეთი წინადადებით მიმართა პორტუგალიას, აგრეთვე როდეზიისა და ნიასალენდის ფედერაციის ხელისუფლებს იმ მიზნით, რომ აღიკვეთოს კატანგაში იარაღის კონტრაბანდად შეტანა, რაც, არსებული ცნობებით, წარმოებს ჩრდილოეთ როდეზიისა და ანგოლის ტერიტორიიდან.

პორტუგალიის მთავრობის უარი დაუშვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურენი მოწმობს იმას, რომ პორტუგალიელ კოლონიალისტებს, ისე როგორც მათ ინგლისელ და ფრანგ ნატოელ პარტნიორებს, წილი მიუძღვით ჩრდილოეთ დაჭირავებული ბანდების მომარაგებაში იარაღით.

„ულტრების“ ბოროტმოქმედება

პარიზი, 7 იანვარი. (საკდესი). ფაშისტები „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციიდან“ განაგრძობენ თავიანთ ბოროტმოქმედებას. დღეს ღამით მათ ბომბი ააფეთქეს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის შენობის წინ მარსელის ერთ-ერთ კვარტალში. ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, აფეთქებამ დიდი მატერიალური ზარალი გამოიწვია.

გუშინ ალჟირში განახორციელეს 22 შეიარაღებული თავდასხმა. მოკლულია 4 კაცი, დაჭრილია — 19. „ულტრები“ განსაკუთრებით გააქტიურდნენ უკანასკნელ დროს.

სუდანი. ქალაქ ომდურმანში. ფოტო ვ. სობოლევისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

გულითადი შეხვედრები კოსმოსის გმირთან

ჯაკარტა, 7 იანვარი. (საკდესი). დღეს ინდონეზიის პრეზიდენტი სუკარნო, საბჭოთა კოსმონავტი გერმანე ტიტოვი, მათი თანმხლები ინდონეზიის მთავრობის მინისტრები და დიპლომატიური კორპუსის მეთაურები მაკასარიდან გემგზავნენ ქალაქ ბონტაინში, რომელიც მდებარეობს სულაუესის კუნძულის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში. საპატიო სტუმრების ჩასვლა კუნძულის ამ ნაწილში უჩვეულო და აღმაფრთოვანებელი მოვლენაა მისი მცხოვრებლებისათვის. ძლიერი წვიმის მიუხედავად, მაკასარსა და ბონტაინს შორის მდებარე სოფლების ყველა მცხოვრები გამოვიდა ქუჩებში სტუმრების შესახვედრად. მათ ეცვათ სადღესასწაულო ეროვნული ტანსაცმელი.

ქალაქ ბონტაინის მოედანზე შეკრებილი ათეულ ათასობით ადამიანი მჭუხარე ტაშით შეხვდა გერმანე ტიტოვის გამოჩენას ტრიბუნაზე. პრეზიდენტმა შეკრებილთ წარუდგინა საბჭოთა კოსმონავტი და მოაგონა, რომ მან ჩვიდმეტჯერ შემოუფრინა პლანეტას კოსმოსური ხომალდით. მთელი მსოფლიოსათვის ცნობილი ეს ახალგაზრდა გმირი ახლა ჩვენი სტუმარია, განაცხადა პრეზიდენტმა.

მიტინგზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტმა სუკარნომ, მან კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მხოლოდ ჰოლანდიაზე იქნება დამოკიდებული, დაიწყება თუ არა სომარი მოქმედება დასავლეთ ირიანის განთავისუფლებისათვის. ჩვენ ყოველთვის მზად ვიყავით და ახლაც მზად ვართ მოლაპარაკებისათვის, განაცხადა პრეზიდენტმა, მაგრამ ჩვენ არ დავეთანხმებით უსარგებლო გაჭიანურებას. ჩვენ დავთანხმდებით მოლაპარაკებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჰოლანდია აბირებს გადასცეს დასავლეთი ირიანი ინდონეზიას.

მიტინგზე აგრეთვე გამოვიდნენ დასავლეთ ირიანის წარმომადგენლები დიმარა და კორიხეუ, რომლებმაც მოუწოდეს ინდონეზიის ხალხს დახმარება გაუწიოს დასავლეთ ირიანის ხალხს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

დღეს პრეზიდენტი სუკარნო და გ. ს. ტიტოვი მაკასარში დაბრუნდნენ.



ბალეტი ეკლესიაში

იტალიის ქალაქ ტურინში მორწმუნენი ტაძარში სალოცავად მივიდნენ და მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მღვდლის ნაცვლად იქ მოცეკვავე ბალერინები დახვდათ. მათ განუმარტეს, რომ მომდინარეობდა რელიგიურ თემაზე დაწერილი ბალეტის მორიგი რეპეტიცია.

მონა ლიზა და კრივი

როგორც ცნობილია, ამას წინათ ლუვრიდან მოიპარეს ფუნჯის ცნობილ ოსტატთა რამდენიმე შედევრი.

სახელგანთქმული მხატვრის ლეონარდო და ვინჩის სურათის „მონა ლიზას“ დასაცავად, რომელიც ლუვრში ინახება, სპეციალური მცველი გამოყვეს. ეს გახლავთ უძლიერესი ფრანგი პროფესიული მოკრივე არდმანდ ვანუჩი.

ჩერჩილის ახალი ბიზნესი

ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა პოლიტიკურ მოღვაწეობას თავი დაანება და საცხენოსნო სპორტს მიჰყო ხელი. მართალია, მას უკვე დ

გოლიათის დაბადება

წელს ლენინგრადში შეიქმნება მიწის დიდი მასივების დასამუშავებლად გათვალისწინებული ახალი უმაგალითო გიგანტი ტრაქტორის პირველი ექსპერიმენტული ნიმუშები.

ქარხნის მიერ მოწყვეული სრულიად საკავშირო ტექნიკური თათბირი სამი დღის განმავლობაში დაუკრილებით მსჯელობდა ამ მანქანის საესკიზო პროექტზე. და აი დღეს შეგვძლია უკვე უფრო გარკვევით ვუპასუხოთ მკითხველებს, როგორი იქნება ეს ტრაქტორი, რომელიც მოწოდებულია გადატრიალება მოახდინოს ჩვენს ჩვეულ წარმოდგენაში ძირითად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ტემპებსა და ხარისხზე.



დავუშვათ, რომ ხვნაში მოვახერხებთ ერთორად გავადიდოთ ტრაქტორის სვლის სიჩქარე. ეს იმას უდრის, რომ მინდორად მეორე მანქანა გამოვიყვანოთ. მაგრამ ლენინგრადის გიგანტი ტრაქტორი გაივლის ამ მანქანის საესკიზო პროექტზე. და აი დღეს შეგვძლია უკვე უფრო გარკვევით ვუპასუხოთ მკითხველებს, როგორი იქნება ეს ტრაქტორი, რომელიც მოწოდებულია გადატრიალება მოახდინოს ჩვენს ჩვეულ წარმოდგენაში ძირითად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ტემპებსა და ხარისხზე.

დავუშვათ, რომ ხვნაში მოვახერხებთ ერთორად გავადიდოთ ტრაქტორის სვლის სიჩქარე. ეს იმას უდრის, რომ მინდორად მეორე მანქანა გამოვიყვანოთ. მაგრამ ლენინგრადის გიგანტი ტრაქტორი გავრცელებულ დტ-54 ტრაქტორს სამჯერ გადააჭარბებს. მასში შეხამებული იქნება სიჩქარე სიმძლავრესთან, ეკონომიურობა სამუშაოთა მაღალ ხარისხთან.

ლენინგრადის ტრაქტორის კონსტრუქცია არსებითად ძირეულ სიახლეებს შეიცავს. ჩარჩო, სადაც დამონტაჟებულია ყველა მისი მექანიზმი, შედგება ორი ხანვერისაგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან მოქნილი სახსროვანი შეერთებით. ეს ტრაქტორს ჩინებულ მანევრუნარიანობას აძლევს, მას შეუძლია მკვეთრად მობრუნდეს ვიწრო სივრცეში. გარდა ამისა, უსწორმასწორო ადგილზე მოძრაობისას ოჯი მდორედ გადალახავს ბორცვებს და ამასთან არ განიცდის მავნე „გამღუნავ“ დატვირთვას. მოკლედ რომ ვთქვათ, მას მდორე სვლა ექნება.

ტრაქტორს გავლადობის დიდი უნარი აქვს. ოთხივე მისი თვალი წამყვანია. მაგრამ კარგ გზაზე ტრაქტორისტს შეეძლება კაბინიდან გამოუსვლელად გადართოს გადაცემა უკანა ბოგზე და ამით შეამსუბუქოს მოტორის მუშაობა. უგზოობის პირობებში განსაკუთრებული მოწყობილობა საშუალებას მისცემს მექანიკოს-მძღოლს — ასეთი იქნება ახლა ტრაქტორისტის სახელწოდება — შეამციროს წევაა სალტეებში და ამით გაუმჯობესოს თვლების ჩაჭიდება ნიადაგთან.

გადაცემათა ფართო დიაპაზონი — წინა სვლისა თორმეტი და უკანა სვლისა ორი — ძალიან მოხერხებულს ხდის მანქანას მინდვრის ყველა სამუშაოზე, როგორიც არის: ხვნა, კულტივაცია, თესვა, მოსავლის აღება, სასიღოსე ტრანსპორტების ამოღება და ბევრი სხვა. მაგრამ ეს მანქანა შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ აგრეთვე საწევრად, რომელიც კაკვით ხუთ ტონას გასწევს. მას შეეძლება 200-300 კილომეტრზე წაიყვანოს დატვირთული სატრაქტორო მატარებელი გზებზე და უგზოობაში, ამასთან საათში ოცდაათ კილომეტრამდე სიჩქარე განავითაროს.

ჩქარ, მძლავრ ტრაქტორებზე მიბმული იქნება რვასახნისიანი გუთანი, განსაკუთრებული მისაბმელი და საკადი ბარაღები, რომლების შექმნაზე ამჟამად მუშაობენ სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სხვადასხვა ქარხნებში. ამ ტრაქტორების ფართოდ დანერგვას დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ექნება. ამ ტრაქტორის შესახებ ილაპარაკა სკკპ XXII ყრილობაზე ნ. ს. ხრუშჩოვმა. ამ მანქანას მოუთმენლად ელიან სოფლის მეურნეობის მექანიზატორები. მოგვგონები, რომ თუ ლენის ერთი მილიონი ჰექტარი მიწის მზარალად მოხვნისათვის ორ ცალად მუშაობისას საჭიროა 6.600 ტრაქტორი და 13.200 მძღოლი, ახალი ტიპის ტრაქტორებით ამავე მოცულობის სამუშაოსათვის საჭირო იქნება მხოლოდ 2.400.

დღეს ამ ახალი ტრაქტორის მხოლოდ მაკეტი არსებობს, მაგრამ უკვე ზუსტად განსაზღვრულია ყველა მისი მონაცემი. მანქანის სიმაღლე სამი მეტრი იქნება, სიგრძე შვიდი მეტრი, წონა — თერთმეტი ტონა. მასზე დადგმება იაროსლავლის მოტორის ჭარხნის იამზ-238 ტიპის 210-220 ცხენის ძალის სიმძლავრის ძრავი.

კიროვის ჭარხნის კოლექტივი დიდი აღმავლობით ქმნის ახალ მანქანას, რომელმაც ახალი გზა უნდა გაკაფოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სიუხვისაკენ. ახალი ტიპის ტრაქტორების გამოშვება სახელოვნებოვნი გიგანტი ქარხნის საჩუქარი იქნება ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკისათვის, კერძოდ საქართველოსთვისაც.

ო. კარიშევი.

* * *

სურათზე: სპეციალისტი მანქანათმშენებლები ეცნობიან გიგანტი ტრაქტორის მაკეტს.

ფოტო ავტორისა.

«მეტალურგი» ხუთი წლისაა

რუსთავი. (საკ. კორ.). ამ დღეებში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მაგალტირაციანმა გაზეთმა „მეტალურგმა“ მეოთხე არსებობის 5 წლისთავი აღნიშნა. მისი პირველი ნომერი გამოვიდა 1957 წლის პირველ იანვარს. აქედან დაწყებული გაზეთი „მეტალურგი“ ღრმად და შინაარსიანად აშუქებს ქარხნელ მეტალურგთა შრომითს საქმიანობას. გაზეთს ჰყავს კორესპონდენტთა ფართო აქტივი. გაზეთში მონაწილეობენ მეფოლადეები, მებრძმედეები, მგლინავები და სხვა პროფესიის ადამიანები.

ოჯახი — მეგობრობა

ზოგი სპექტაკლი ისე ცოცხლად, დამაჯერებლად გამოაჩენს ხოლმე თანამედროვეობის ასახვაში თეატრის მხატვრულ დაოსტატებას და შემოქმედებითს სიმწიფეს, რომ მაყურებელში ბუნებრივად იბადება ცხოველი ინტერესი — სცენაზე ყოველთვის უყუროს თავისი გარეშომცველი სინამდვილის მაჯისცემის ამსახველ წარმოდგენებს.

ასეთ სანახაობათა რიცხვს ეკუთვნის თბილისის სომხური თეატრის ახალი სპექტაკლი — ვ. კოროსტილევის კომედია „მჯერა შენი“.

პიესას წამძღვარებული აქვს ავტორის წინათქმა, მოქმედება ჩვენს დროში ხდება, მოქმედების ადგილი — ქალაქი კენებისშიერად ამორჩეითო, უხელმძღვანელიათ ამ მითითებებით და მთარგმნელსა და რეჟისორს მოქმედება გადაუტანიათ ერევანში, მოქმედ პირთა სახელებიც შეუცვლათ და პიესა გადაუსომხურებიათ.

სპექტაკლში სულ სამი მოქმედი გმირია.

კომედიის კონფლიქტის ცენტრში დგანან ახალგაზრდა არქიტექტორები — ვეჰანი და ნარინე. მაყურებლის წინაშე ელვასავით ჩაივლის ქალ-ვაჟის სიყვარულის მომაჯადოებელი ხანა—ერთად სეირნობა, ცეკვა, თაიგულები, ეგზოტიკები, ბოლოს შეუღლება და... არქიტექტორ ვაჰანის გულში იღვიძებს „მატლი“.

მძიმე ატმოსფეროში უხდება არსებობა ნარინეს, იგი სულ არ მოელოდა მეუღლესთან ურთიერთობაში ასეთ ფიქალს და დღენიადაგ გულეპრყვილოდ ოცნებობს სასწაულზე, თავისი ადამიანური და მოქალაქეობრივი ღირსების დაფასებაზე, — სასწაული, რასაკვირველია, არ ხდება, მაგრამ მათს ოჯახში გამოჩნდება პოეტურად განწყობილი, დამაჯერებლად გამოსული ადამიანი ვ. კოროსტილევის — „მჯერა შენი“ სომხური თეატრის სცენაზე

ტურად განწყობილი. მაღალი სულის ადამიანი არტაშესი, ვაჰანის სკოლის ამხანაგი. იგი მაშინვე აღლოს უღებს მდგომარეობას, მხარში ამოუდგება ნარინეს, როგორც დასა და მეგობარს, და აღუდგენს რწმენას თავისი თავისადმი.

ისინი გონზე მოიყვანენ ვაჰანს, მის გულში ჩაკლავენ „მატლს“, რომელიც ჯურღმულისაკენ ეწეოდა არქიტექტორს. ფაილბელიო ვაჰანი რწმუნდება, რომ ნარინე — ცოლი მისი მოსამსახურე რიდია, არამედ ყველა ღირსებით შემკული ქალი, შინ და გარეთ მისი ნამდვილი მეგობარი, მისი წარმატებების დაუშრეტელი წყაროა.

კომედიის კონფლიქტი რეჟისორ ჰ. უმიკიანის ჩანფიქრით ისეთ ფონზეა გაშლილი, ისეთი ფერები და დეტალებია გამონახული, რომ მაყურებელს ავიწყდება დარბაზში ყოფნა და ჭეონია, თითქოს სადღაც მეზობლის თუ მეგობრის ოჯახში ხდება ამბავი, ჩვენი სინამდვილის რომელიღაც უბანზე, სადაც ძველთან ჰიდლში დღითიდღე იწრთობიან ახალი საზოგადოების ადამიანები.

მაყურებელი კიდევ ერთხელ გაიხარა თავისი აქტიორული მონაცემებით საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ს. შეკოიანმა. მისი ნარინე, სულიერი სითბოთი და ლირიზმით აღსავსე, ჩვენი დროის ტიპიური ქალიშვილია. იგი უხდო სიმართლით წარმოგვიდგენს როგორც ზღაპრული სიყვარულის ტრაგიკული ფინალით შეძრწუნებული ადამიანის მდგომარეობას, ისე სულიერად გამხნევებულ თავს შინაგან ძალაში დარწმუნებული, მეუღლისა და მოქალაქის სულიერ აღმავლობას. თეატრს ნამდვილად შეუძლია იამაყოს შეკოიანით, როგორც მზარდი შემოქმედებითი მსახიობით. მისი თამაშით აღფრთოვანებული მაყურებელი კმაყოფილებით ტოვებს დარბაზს და თან მისდევს ნარინეს სახე, ნიჭიერი მსახიობის შექმით გასხივოსნებული.

ვაჰანის როლს ასრულებს ხალხოვანი არტისტი ა. ლუსინიანი. სპექტაკლმა ცხადყო, რომ მსახიობს წარმატებით შეუძლია თავი გაართვას კომიკური როლებსაც. მისი ვაჰანი კეთილი, შრომისმოყვარეა, მაგრამ სულიერად დაუწიფებელი, წარსულის ცოდვებით დატვირთული. მსახიობი, მართალია, ერთბაშად, მაგრამ დამაჯერებლად გვიჩვენებს ძველი ტეირთისაგან ვაჰანის განთავისუფლებას. სიტუაცია კომიკურია, მაგრამ არტისტის კომიზმი მყვირალა არ არის, იგი შინაგანად გამართლებულია, არსად არ გადადის უტაქტობაში ან ყალბი კომიზმის გათამაშების ტენდენციაში.

კარგია არტაშესის როლში საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დორი ამირებეკიანი. მისი არტაშესი ღაღი, კეთილი, პოეტურად განწყობილია; რაიონიდან ჩამოსულს თითქოს თან მოუტანია მთების სილამაზე, საკოლმეურნეო ცხოვრების სურნელება და ახალი სიო შეაქვს კაბინეტის ჰაერით გაბრუებული შეგობრის ცხოვრებაში. მხატვარ ჰ. არუთინიანს დიდი გემოვნებით აქვს მოძებნილი ჩვენი თანამედროვე ცხოვრების ტიპიური ფერები და საღებავები. ყოველი დეკორაცია აწყობილი და ჩვენი საზოგადოების აღმავლობის დამახასიათებელი სიახლით სუნთქავს.

პიესა უნდა ნახოს ყველამ, ვისაც ოჯახური ცხოვრების კარი შეუღია და ვინც მის ზღურბლზე დგას.

არჩილ დავითიანი.

* * *

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „მჯერა შენი“. მარცხნიდან ვაჰანი (ა. ლუსინიანი), ნარინე (ს. შეკოიანი), არტაშესი (დ. ამირბეკიანი).

ფოტო გ. ჩერკახოვისა.

საინტერესოა ვიცოდეთ!

ახალი გზები ქირურგიაში

მოსკოვი, 7 იანვარი. (საკადესი). ძვლის მოტეხილობის დაწებების საშუალებით მკურნალობის ახალი მეთოდი გამოიყენეს მოსკოვის სამედიცინო სტომატოლოგიური ინსტიტუტის ქირურგიული სტომატოლოგიის კათედრასთან არსებულ კლინიკაში. ახალგაზრდა ქირურგმა-სტომატოლოგმა ე. ტიხონოვმა ყბის მოტეხილობის სამკურნალოდ გამოიყენა წებო „ოსტეოპლასტი“, რომელიც ლენინგრადელმა სპეციალისტებმა შეიმუშავეს. კლინიკაში მუშაობას წინ უძღოდა ხანგრძლივი ექსპერიმენტები ცხოველებზე.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფესორ ა. ი. ევდოკიმოვის ხელმძღვანელობით ექიმმა ტიხონოვმა 24 ოპერაცია გაუკეთა ავადმყოფებს, რომლებსაც ჰქონდათ ყბების ტრავმული დაზიანება. როგორც ცნობილია, მედიცინაში მნიშვნელობა აქვს არა მარტო უშუალო, ერთბაშად მიღებულ შედეგებს, არამედ აგრეთვე შორეულ შედეგებს. ოპერაციების ნაწილი გაკეთებულია ერთ წელიწადზე მეტი ხნის წინათ. შედეგები გვიჩვენებენ, რომ მოშუშების მსვლელობაში მიღწეულია შეწებებული ძვლის მონატეხთა სრული შეზრდა.

სოჭი. ახალი საძინებელი კორპუსი, რომელიც აშენდა სრულიად საკავშირო ინსტიტუტ „ტეპლოელექტროპროექტის“ დასვენების ბაზა „ქავკაზში“. იგი გაანგარიშებულია 86 კაცისათვის.

ფოტო პ. ვორობიოვისა. (საკადესის ფოტოქრონიკა).

რაც ჯანმრთელობას ემსახურება

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ამ საკითხთან დაკავშირებით ესაუბრა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საორგანიზაციო სამმართველოს უფროსის მოადგილეს ამხ. გ. ჩიბლაძეს. აი რა განაცხადა მან:

მომსახურების ეს ახალი ფორმა — წამლების შინ მიტანა — საყოფაიქო დარგის მუშაკებისაგან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. რომ თავიდან ავიცილოთ რამე გაუგებრობა ან საბედისწერო შეცდომა, აფთიაქი, რომელიც უზრუნველყოფს წამლების შინ მიტანას, ვალდებულია მხოლოდ თავის მიკრორაიონს მომსახუროს და ისიც აუცილებელი საჭიროების დროს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ავადმყოფი მარტოხელაა.

წამლის ასეთ შეკვეთას აუცილებლად უნდა ჩაუდგეს სათავეში ექიმი, დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ ექიმის თანაშემწეებსაც. შეკვეთა შეიძლება ტელეფონითაც. მას მიიღებს აფთიაქის ადმინისტრაციული პერსონალი ან ამ საქმისათვის სპეციალურად გამოყოფილი პასუხისმგებელი პირი. წამალი, როგორც წესი, ავადმყოფთან ბინაზე მიაქვს ფარმაცევტს, რომელიც მას საფასადო დარიგებას და განმარტებას აძლევს.

წამლის ბინაზე მიტანა უფასოა, და ავადმყოფი მხოლოდ წამლის საფასურს იხდის.

ამგვარი, ცნობები, ფაქტები

ღირსეული ჯილდო

წყალტუბო. (საკ. კორ.). სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების დათვალიერებაში, რომელიც გასულ წელს მოეწყო, გაიმარჯვა და რესპუბლიკაში პირველ ადგილზე გამოვიდა სანატორიუმ „დრუჭას“ კოლექტივი.

პროფესიული კავშირების სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს გადაწყვეტილებით სანატორიუმს მიეკუთვნა მეორე ადგილი, ფულადი პრემია და პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს დიპლომი.

ამ დღეებში სანატორიუმ „დრუჭას“ კოლექტივს საზეიმო გითარებაში გადაეცა აღნიშნული ჯილდო.

ღვინოების ისტორია

— ჩვენს კოლექციაში, — გვეუბნება უფროსი მეღვინე, კოლექციის განყოფილების გამგე პოლინა ზედელიანი, — დაცულია საზღვარგარეთის ქვეყნების — საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, ჩინეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის და ბევრი სხვა ქვეყნის ღვინო და არაყი, იგი თაროებიდან აღებს ბოთლებს და გვიჩვენებს ფრანგულ შამპანურს, კაბერნეს, პატრონს... — გვაქვს აგრეთვე ნაპოლეონის ღვინის სარდაფიდან წამოღებული კონიაკებიც, 1812 წლის უნგრული და ფრანგული ლიქიორი, ინგლისური არაყი, უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნის 1714, 1750, 1790, 1862, 1874 წლების ღვინოები და არაყი, სამასი წლის რუსული არაყი და სხვ.

— ჩვენ ყოველწლიურად ყველა სახის უმაღლესი ხარისხის ქართული სამაგარო ღვინის ორას-ორას ბოთლს ვინახავთ, — ამბობს ქარხნის მთავარი მეღვინე გ. კანდელაკი, — ღვინოები მოგვდის ავრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკიდან, უცხოეთიდან. ერთი ის არის, რომ „ბიბლიოთეკაში“ საკმარისი ადგილი არა გვაქვს. აუცილებელია მისი გაფართოება.

ღვინოების ეს შესანიშნავი კოლექცია-ბიბლიოთეკა თავისებური ლაბორატორიაა, სადაც დაკვირვება წარმოებს ამა თუ იმ ღვინის გაძლეობაზე, დაძველებაზე, ფერზე, სიმაგრეზე და სხვ.

ე. მამალაძე.



სურათზე: მუზეუმის საკოლექციო განყოფილების გამგე პ. ხეცურიანი და მთავარი მეღვინე გ. კანდელაკი ამოწმებენ დაძველებული ღვინის ხარისხს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მაღლები

შარშან შემოდგომაზე, როცა ცხვრის ფარებს ზამთრის საძოვრებზე მიერეკებოდნენ, დაღამებისას მწყემსებს არაგვის ნაპირას ცეცხლი გაეჩაღებინათ და ვახშმის მოლოდინში ტკბილად საუბრობდნენ.

— გაღარიბდა არაგვი. ჩემს ჭელლობაში, ბახოვს აქ იმდენი კალმახი იყო, რომ ბელით ვიჭერდით, არც ბადე გვჭირდებოდა და არც ფაცერი.

— შენ ეგ რად გინდა, ბავშვობაში არაგვი ორაგულით იყო სავსე — არ გაგიგიათ იმ ხევსურის ამბავი, ორაგულმა რომ დაახრჩო?

— ეგ როგორღა მოხდა? — დაინტერესდნენ ახალგაზრდები.

— თურმე წინადღეს იმ ხევსურს არაგვზე ნემსკავი დაეგო, გათენებისას ჩასულიყო და მოდიდებულ წყალში გაეტოპა. ხედავს ნემსკავზე უზარმაზარი ორაგული წამოგებულა, აუღია კეტი და თევზისათვის თავში ჩაურტყამს, მერე ლაყუჩებში თოკი გამოუბამს და მისი ბოლო ბეჭით დაუთრევია. ასე უვლია წყალდაწყალ. ამასობაში ორაგულს ძალა მოუკრებია, მეთევზეს ფეხებში გასჭრომია, თოკი აუხლართ-ჩაუხლართავს, ხევსური წაქცეულა და დამხრჩვალა. მეორე დღეს უპოვნიათ ნაპირზე გარიყული. ერთ მხარეს თოკზე მკვდარი ორაგული იყო, მეორე მხარეს დამხრჩვალი კაცი...

— მართალი უთქვამთ ჩვენს ძველებს, რომ მაგ თევზს თურმე ორაგული კი არა არაგული ერქვა.

— ეს უგემრიელესი თევზი კასპის ზღვიდან ფშავ-ხევსურეთს მთებში ამოდიოდა ჭვირნოის დასაყრელად. მერე მტკვარზე ჯებირები რომ აუშენეს, ორაგული ვეღარ ამოვიდა არაგვის სათავეებში და თანდათანობით მისი ხსენება გაწყდა.

— ორაგულის ამბავი გახსაგებია, მაგრამ კალმახს რაღა დაემართა?

— კალმახსაც ის მოუვიდა, რაც შველსა და ირემს. ცოტა არამზადა დაძრწის ამ ქვეყანაზე?

— ავი კაცი მგელზე უარესია. მგელი ათ ცხვარს შეჭამს, გონჯი კაცი კი ასსა და ათასს. გული მწყდება, რომ ჩვენი ლამაზი ბუნების მტრები ზოგჯერ ასე თავისუფლად დადიან.

— ჟინვალელმა მეტყევეებმა თქვეს, ჩინთის ტყეში ბევრი ირემიაო. ერთი ხარირემი ისე შეგვეჩვია, რომ როგორც კი დაგვინახავდა, თავს მაღლა ასწევდა და პატრონს შეჩვეული ხარივით დაგვიწყებდა ყურებას. ბოლოს ისე გათამამდა, რომ გზის ნაპირებზეც დაიწყო სეირნობა. სწორედ ამ სითამამემ დაღუპა საცოდავი. ვიღაც ბოროტმა კაცმა სასიკვდილოდ გაიმეტა და მოკლა კიდეც...

მგლები

დუშელი მწყემსების ეს საუბარი, რომელშიც მათი ადამიანური გულისტკივილია ჩაქსოვილი, კარგად ახსოვს სინამდვილეს. მოუხედავად მღელვარე ღონისძიებებისა, არაგვის ხეობაში ჯერ კიდევ არის სასარგებლო ცხოველებისა და თევზის განადგურების შემთხვევები. ზოგი ბრაკონიერი ახლაც თავისუფლად გრძნობს თავს.

— მერე და რატომ?

სწორედ ამაზე გვინდა მოგახსენოთ.

დუშეთში ცხოვრობს თევზდაცვის ინსპექტორი ზურაბ შაბურიშვილი, რომელიც ყველაფერს აკეთებს, რაც კი მასზეა დამოკიდებული, თევზის სიმდიდრის დასაცავად. იბერს ბრაკონიერებს, ჰპატიმებს მათ, ადგენს აქტებს და ოქმებს, მაგრამ მოქალაქეთა მტაცებლური ბუნების ყველა მანიც არ არის.

აი რას გვიამბობს იგი:

— ჩემი სამოქმედო უბანი იწყება მცხეთასთან და მთავრდება არაგვის სათავეებში. არავითარი ტრანსპორტი არ გამაჩნია. დავდივარ შემთხვევითი მანქანებით. სასიარულო კი ბევრია, კვირაში ერთხელ მაინც უნდა შემოვიარო მთიულეთ-გუდამაყარი და ფშავ-ხევსურეთი. ეს ზოგჯერ ფიზიკურად შეუძლებელია. მით უმეტეს, რომ ბრაკონიერების უმრავლესობა ავტომანქანებითა და მოტოციკლებით დაჰკრის.

გასაგებია, რომ ამ ვეებერთელა ტერიტორიაზე ერთი კაცის კონტროლი საკმარისი არ არის. საყვედური უნდა ვთქვა ჩვენი მეტყევეების, ტყის მცველებისა და სოფლის სხვა აქტივისტების მიმართ, რომლებიც გულგრილობას იჩენენ ბუნების დაცვის საქმეში.

— ერთი წლის წინათ ბაგისჯალაში არაგვის ნაპირას რამდენიმე კაცი შევნიშნე, რომლებიც წყლის ტოტში რაღაც საეჭვო ფხვნილს ყრიდნენ. სწრაფად მივედი შემთხვევის ადგილას, მაგრამ უცნობებმა გინება დამიწყეს — ვინა ხარ, რა გეკითხებაო. თანაც მუშტებს იქნევდნენ. მშიშარა არ გახლავართ, მაგრამ მათი დამორჩილება ვერ შევძელი, მდინარესთან არ მიმიშვეს, მხოლოდ მსუბუქი ავტომანქანის ნომრის ჩაწერა მოვასწარი. გავიდა დრო, როგორც იქნა, მილიციამ მათს კვალს მიაგნო. ესენი არიან თბილისელები. კირთვის სახელობის ქარხნის სამშენებლო წარმოების ხელმძღვანელი თარ ანდრიას-ძე ბარკალაია, მეექვსე სახელოსნო სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი სულიკო დავითის-ძე სულხანიშვილი და მეცხრე ავტოსატრანსპორტო კანტორის მეორე ფილიალის გარაჟის გამგე ავთანდილ ივანეს-ძე ღონღაძე.

— ჩვენ ისინი დავაჯარიმეთ, მაგრამ ჭარიმა დღემდე არ გადაუხდიათ, ბინის სწორ მისამართს არ იძლევიან. კანონით ისინი პასუხისგებაში უნდა გადაგვეცა, მაგრამ ბრალდება ვერ დავუმტკიცეთ, თქვენ თვითონ განსაჯეთ, რა ძნელია წამლული წყლის სასწრაფო ქიმიური შემოწმება.

— დუშეთისა და მცხეთის რაიონებში კარგად არიან ცნობილნი მამაშვილი მაღულაშვილები. ისინი მტაცებლურად ანადგურებენ თევზს არაგვსა და ბაზალეთის ტბაზე, მაგრამ მათი დაჭერა ვერ შეძელეს, რადგან ისინი მოტოციკლეტს დაჰკროლებენ, მე კი მათ ფეხით დავდევ.

ზურაბ შაბურიშვილმა ცისფერყდიანი რეული მაჩვენა, რომელშიც აღნუსხული ია იმ ბრაკონიერთა ვინაობა, რომელთა დაკავება მან შეძლო. (ახლა რამდენი იქნებოდა ისეთი, რომლებიც ვერ დაკავეს). ვის არ ნახავთ ამ თავისებურ საბრალდებო დასკვნაში! დუშეთის საგზაო განყოფილების თანაშრომლები კ. გ. კახუაშვილმა ბულაჩაურის წყალსადენთან არაგვში მავთული შეურთია, რომელშიც მაღალი ძაბვის დენი იყო ჩართული. ამით მან ასობით კალმახი და სხვა თევზი გაუწყვიტა. იმავე უბანში რევაზ მწითურამა დინარის ტოტი ბულდოზერით გადაკეტა, ასევე მოიქცნენ მიხეილ ამირიძე და მისი ამხანაგები.

ამ ბოლო წლებში ბაზალეთის ტბაში ბრამულის ორ მილიონამდე ლიფსტა გაუშვეს, რომელმაც კარგად იხარა. ბრაკონიერების ხელი აქაც მისწვდა. ისინი გოდრებითა და სხვა საშუალებებით იჭერენ თევზს და თბილისის ბაზრებზე ყიდიან. ქურდი მეთევზეების რიცხვში არიან ვ. გოგაური, ვ. კოზლოვი, მამულაშვილები და სხვები.

უცნობმა პირებმა შარშან ქლორით მოწამლეს ჩითელფორჯიანი კალმახით განთქმული შარახეულა და კაწალხევის წყალი. თევზჭერის წესების სისტემატიური დარღვევამ ძალიან შეამცირა კალმახი. ამიტომ იყო, რომ შარშან არაგვში კალმახის ათასობით ლიფსტა გაუშვეს.

ძლიერ გაღარიბდა თევზით არაგვის ძმობილი — მდინარე იორი. ერთი თიანეთელი მეგობარი გულისტკივილით მიამბობდა, ივრის ტოტებში ვიღაც ვიგინდარები ქლორს ყრიან და არათუ თევზს, პატარა ლიფსტებსა და ქვირითსაც ანადგურებენო.

— ნუთუ ერთხელ მაინც ვერ დაადგინეთ ბრაკონიერთა ვინაობა?

— როგორ არა, მაგრამ არ ამხელენ, ფარავენ, უსიამოვნებას ერიდებიან...

ზურაბის ლაპარაკს რომ ვუსმენდი, უნებურად ვაფას სიტყვები მომაგონდა: „მოდით, ნუ შვრებით ცოდვასა“... სიტყვები, რომლებიც დღესაც გაისმის, როგორც სახალხო მოწოდება, რომლის მიზანია დავიცვათ ტყე და მისი დიდებული ფაუნა, გავუფრთხილდეთ ჩვენი მდინარეების ბინადარს.

მაგონდებოდა არაგვის ხეობის უღრანი, დაბურული ტყეები, რომლებსაც იხვივე უნდა ჩაეთხვა, როგორც ნიჭიერად დაწერილ წიგნს. ყველას რიდი შეუძლია ამის გაკეთება, ყველას არ ძალუძს ტყის დახლართულ ბილიკებზე გზის გაგნება, ტყის საიდუმლოების ამოცნობა.

დუშეთში ყველა იცნობს მამაც მონადირეს და ბუნების კეთილ მეგობარს გიორგი ქაშაშვილს, რომელსაც ახლახან სამოცდარვა წელიწადი შეუსრულდა. იშვიათია ისეთი დღე, გიორგი ახლომახლო ტყეებს რომ არ ესტუმროს. მხდელობაში გჭონდეთ, რომ იგი ცალფეხა კაცია. უბედური შემთხვევის გამო, მას სიკვდილამდე დაუკარგავს მარცხენა ხელი. მიუხედავად ამისა, მისი გასროლილი ტყვია მიზანს არ ასცდება. გიორგი ხანგრძლივი დაგების ოსტატიც არის. მის ხანგრძლივ ბაში ხშირად გაბმულა მგელი და მელა, კვერნა და გარეული კატა. უკანასკნელ წლებში მან 15 მგელი, 7 დათვი, მრავალი მაჩვი, ფოცხვერი და სხვა ნადირი გაანადგურა.

ამას წინათ გიორგიმ მითხრა:

— ხუთიოდე წლის წინათ ჩვენში ირემი გადაშენების გზაზე იყო. ახლა, მადლობა ღმერთს, არა უშავს რა ირემი მრავლდება. ყოველ შემოდგომაზე ტყეში თვის ბულულებს ვდგამთ, სამარილეებიც მოვაწყეთ. ასე რომ ირემი აქედან წასვლას არც ისურვებს.

— ამბობენ, მგლები ძალიან ეტანებიანო.

— ეგეც არის, მაგრამ სამწუხაროდ ის უფროა, ზოგი ადამიანი თავისი მოქმედებით მგელს რომ ემსგავსება.

ქაშაშვილის მსგავსი ადამიანები არაგვის ხეობაში ბევრია, მხოლოდ საჭიროა მათი დარაზმვა. „ბუნების დაცვის“ საზოგადოების ყველა წევრის ამოქმედება. კარგი იქნება, თუ ყველა სასოფლო საბჭოს აღმასკომი იყოლიებდა შტატგარეშე ინსპექტორებს, რომლებიც დაგვეხმარებოდნენ ბრაკონიერების დაკავებაში. აუცილებელია სახელმწიფო ინსპექტორი უზრუნველყოფ სათანადო ტრანსპორტით.

...მოდით ნუ ჩავიდენთ ცოდვას ჩვენი სიამაყის, ჩვენი უსამაზესი ბუნებისა და მისი ბინადრების წინაშე.

ა. თომაძე, „კომუნისტის“ ხაკ. კორესპონდენტი.

კომუნისტის კალენდარი

სტოკჰოლმის მომავალი სტუმრები

საქართველოსა საქადრაკო ტურნირებს შორის ჰასტინგსისა და სტოკჰოლმის შეჯვედებს, რომლებიც ყოველწლიურად იმართება, დიდ შეჯიბრებად თვლიან. ამ რამდენიმე დღის წინათ ჰასტინგსში დამთავრდა ტრადიციული ტურნირი. იგი აღინიშნა მსოფლიოს ჩემპიონის მ. ბოტვინიკის ტრიუმფით. მეორე საბჭოთა გროსმაისტერმა ს. ფლორმა მესამე ადგილი დაიკავა.

შვეიცის საქადრაკო ფედერაციის მიწვევით საბჭოთა გროსმაისტერები მ. ბოტვინიკი და ს. ფლორი სტოკჰოლმს ეწვევიან. აქ ისინი 5 თებერვლამდე დარჩებიან და მონაწილეობას მიიღებენ სტოკჰოლმის საქადრაკო ტურნირში, აგრეთვე გამართავენ ერთდროული თამაშის სეანსებს.

სტოკჰოლმის ტურნირში გარდა საბჭოთა მოქადრაკეებისა მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ქვეყნის გროსმაისტერები და ოსტატები. სტოკჰოლმის გასული ორი ტურნირის დამთავრება საბჭოთა გროსმაისტერების გამარჯვებით. 1960 წელს პირველი ადგილი დაიკავა ბ. სპასკიმ, მეორე — ტ. პეტროსიანმა, მესამე — მ. ბოტვინიკმა და პ. კერესმა, ხოლო 1961 წელს — მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. ბოტვინიკმა და ულანმა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

მსოფლიოს ჩემპიონი მ. ბოტვინიკი და გროსმაისტერი ს. ფლორი დაესწრებიან საზონათაშორისო ტურნირს, რომელიც შვეიცარიაში მოეწყობა.

„დინამოს“ პირველობაზე

ბასულ კვირაღეს თბილისში დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშება თანამედროვე სამპირიანში. ასეთი შეჯიბრება ჰაბუკმა დინამოელებმა პირველად გამართეს. ადრე კი ისინი ერთმანეთს ეცილებოდნენ ოთხპირიანში, ან ხუთპირიანში.

თანამედროვე სამპირის პროგრამაში შედის მცირე კალიბრის პისტოლეტის სროლა, ცურვა, მძლეოსნური კროსი. ამ პარეხობაში გამოდიოდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, ერევნის, ვილნიუსის, თბილისისა და სხვა ქალაქების „დინამოს“ წარმომადგენლები.

პირველობისათვის ბრძოლა მცირე კალიბრის პისტოლეტის სროლაში დაიწყო. აქ უძლიერესი აღმოჩნდა ვილნიუსის „დინამოს“ წარმომადგენელი ა. მალჯანისი, რომელმაც 800 ქულა შეაგროვა. მომდევნო ორი ადგილი დაიკავეს მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტსმენებმა ვ. ვერანჩიკმა და ე. კაპეცკიმ. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები უძლიერესთა ბუთეულში ვერ მოხვდნენ.

ჩემპიონობის საკითხი უნდა გადაწყვიტა შეჯიბრების უკანასკნელ ორ სახეობაში — ცურვასა და მძლეოსნურ კროსში. ამ შეჯვედრებში თანაბარი სიძლიერით გამოვიდა ა. მალჯანისი, რომელმაც